საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, 2013 წელი.

№214 (7342)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

წავიდა, ჰეე!

3

თხას უთხრეს, მგელი მომკვდარა!



„სწრაფი ადმინის-ტრატორი“ თევზაძე, „ერთ-ერთი დირექტორი“ ალასანია და...

ანუ ერთ ლარად 27-ათასჯერ გასხვისებული სახელმწიფო ქონება 6

დღის ამფრაზურიდან

მეტროში გაგონილი

– ხვალინდელი პრემიერი გვარით კია ღარიბაშვილი, მაგრამ, იმედია, გაგვამდიდრებს!..

– ჯაყოს შემოუთვლია სააკაშვილისთვის, სანამ მე მახსენებდე, ეგ მყრალი პირი გამოირეცხეო!..

– ივანიშვილი იმიტომ მიდის, რომ სააკაშვილები აღარასოდეს აღარ მოვიდნენ!..

სოფლიდან გადასვენილებს უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ

5

რა ასაკში უნდა შევიდეს ბავშვი სკოლაში?

6

საცობებით გადატვირთულ თბილისს 12 მეტრის სიგრძის ავტობუსები შეემატება

7

ვაზისკენ შემობრუნება

5

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

ეუთო საქართველოში წარმომადგენლობის აღდგენას აპირებს

ამის შესახებ ეუთოს გენერალურმა მდივანმა, ლამბერტო ზანიერიმ „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა.

— საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლებასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ასე მაგალითად, ცოტა ხნის წინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვენაში, ეუთოს საბჭოზე სიტყვით გამოვიდა, — განაცხადა ზანიერიმ.

მისივე თქმით, რამდენადაც ეუთოს საქართველოში აღარ ჰყავს წარმომადგენლობა, ორგანიზაციას მხოლოდ გვერდიდან უწევს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვება.

„მომავალ წელს საქართველოში ვიზიტს ვგეგმავ და ერთ-ერთი მთავარი საკითხი ეუთოს წარმომადგენლობის აღდგენა იქნება, რაც რეგიონში პროექტების უფრო ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს, — აღნიშნა ლამბერტო ზანიერიმ.

ამასთან, როგორც ეუთოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, მუდმივად იმართება დისკუსიები საქართველოში ორგანიზაციის ყოფნის ფორმატზე ისევე, როგორ გეოგრაფიულ და ტერიტორიულ ჩარჩოებში საქმიანობის შესახებ.

ეუთოს წარმომადგენლობამ საქართველოში მუშაობა 2009 წლის ივნისში შეწყვიტა.

ეკონომიკის დაბალი პროცენტით ზრდა კოჰაბიტაციისა და სააკაშვილის ბრალია

როგორც ხადურმა განაცხადა, ბევრი ფაქტორის, მათ შორის პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების გამო, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს.

— ჩვენ ველოდით წლის დასაწყისში, რომ ზრდა იქნებოდა 6%-იანი, მაგრამ სამწუხაროდ მიმდინარე მოვლენებმა, მათ შორის პოლიტიკაში არსებულმა პროცესებმა, კერძოდ ე.წ. კოჰაბიტაციამ და სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი — პრეზიდენტის მხრიდან მუდმივად ხელისშეშლამ, ასევე სხვა ფაქტორებმა, რომელთა ნაწილი ობიექტური, ნაწილი კი სუბიექტური იყო, მიგვიყვანა იქამდე, რომ წელს ეკონომიკა სამწუხაროდ 6%-ით ვერ გაიზრდება, — განუცხადა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს.

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნას, რომელშიც საუბარია, რომ სავაჭრო დეფიციტის აღმოსაფხვრელად საქართველოს საგარეო ვალის აღება დასჭირდება, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, საქართველო საგარეო ვალს ნამდვილად იღებს, თუმცა მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

შეხვედრა ვილნიუსის სამიტის წინ

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ლიტვაში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ლიტვის სეიმის თავმჯდომარე ლორეტა გრაუჟინიენესთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მთავარი თემები იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ორმხრივი საპარლამენტო ურთიერთობები, ვილნიუსის სამიტის მოლოდინები და სამიტის შემდგომი პერიოდი.

დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ვილნიუსის სამიტი საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გზაზე წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. ლიტვის სეიმის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლისთვის. მისი შეფასებით, საქართველოს პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში დემოკრატიის განმტკიცების საქმეში. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა ქვეყნებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების თაობაზე.

ლორეტა გრაუჟინიენემ და დავით უსუფაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებისთვის ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. ლიტვის სეიმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ლიტვაში ვიზიტი პოზიტიურ გავლენას მოახდენს ვილნიუსის სამიტზე. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის მიზანია ყველა იმ საკითხზე მსჯელობა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროინტეგრაციას.

გიორგობისთვის პატიმრებს არ შეიწყალებენ

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა , გიორგი მარგველაშვილი შეწყალების კომისიის ახალი შემადგენლობის შექმნას გიორგობისთვის ვერ მოასწრებს, რადგან ვილნიუსში წასასვლელად ემზადება.

თევდორაძე დარწმუნებულია, რომ 23 ნოემბრისთვის შეწყალების კომისიის არანაირი სხდომა არ გაიმართება, თუმცა რას გადაწყვეტს ახალი პრეზიდენტი და როდის გამართავს სხდომას, საახალწლოდ თუ სააღდგომოდ, ეს მისი უფლებაა.

თევდორაძე მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილი შეწყალების კომისიის სხდომას ძველი შემადგენლობით არ გამართავს.

ინტერპრესი

◎ კანონპროექტი

საქართველო პროტექციონიზმის გზას დაადგა

„ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების შემოღების შესახებ“ კანონპროექტმა უკვე საკმაო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ადგილობრივი მეწარმეები ახალ ინიციატივას დიდი იმედით უყურებენ, ხოლო ძვალმსხვილი იმპორტიორები კი ხმამაღალ პროტესტს გამოთქვამენ.

მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობს საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი, რომლის ბიზნესინტერესები საქართველოში (და არა მარტო აქ) ყველასთვის ცნობილია. შიდა ბაზრის დაცვაზე ფადი ასლის შეხედულებებს სოფლის მეურნეობის სამინისტროში კატეგორიულად არ იზიარებენ და ეჭვობენ, რომ სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს კვალიფიციური შეფასების გაკეთება უჭირს, რადგან პრობლემას სიღრმისეულად ვერ წვდება.

„ფადი ასლის არ ესმის რა საჭიროება დგას ქვეყნის წინაშე“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა, რომელიც ფიქრობს, რომ „ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების შემოღების შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ ადგილობრივი წარმოების განვითარებას სტიმული მიეცემა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებული ცვლილებები ადგილობრივი ბაზრის დაცვის მიზნით მომზადდა, ულიმიტო იმპორტმა ადგილობრივი წარმოება ზედმეტად რომ არ შეზღუდოს და ქართულ კომპანიებს განვითარების საშუალება მიეცეს.

ასლს კი, რომელიც საქართველოში მრავალი წელია მისთვის ერთობ მომგებიანი სხვადასხვა ბიზნესითაა დაკავებული, რასაკვირველია, თავისი შემოსავალი ადარდებს. ამიტომაც იგი ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც შიდა ბაზრის დაცვისთვის იმპორტის კვოტირებას და შეზღუდვას ითვალისწინებს.

„პროტექციონიზმმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ელიტარულ კორუფციას და დააფრთხოს უამრავი ინვესტორი, რაც თავისთავად უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე. დღესდღეობით, არც ერთი საიმედო ხელისუფლება არ განავითარებს ეკონომიკის დარგებს პროტექციონიზმის საფუძველზე.

ჩემი 33-წლიანი პროფესიული ცხოვრების განმავლობაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეტანილი მაქვს მილიონობით ტონა ხორცი, ფრინველის ხორცი, თევზი, ხილი და ბოსტნეული. ყველაზე კონკურენტული ქვეყნები სწორედ ის ქვეყნებია, რომლებსაც თავისუფალი და ღია ბაზარი აქვთ, რაც იწვევს ფასების დაწევას, ხარისხის გაუმჯობესებასა და უფრო დიდი მოცულობების გენერირებას, შესაბამისად, ლოგისტიკაში მდგრადი ინვესტიციები უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხიან და დროულ ტრანსპორტირებას საერთაშორისო ბაზრებზე.

არსებული სახით შემუშავებული კანონპროექტი უკიდურესად ბუნდოვანი და ზოგადია. აქედან გამომდინარე, იძლევა თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს მის უსამართლო გამოყენებასა და განხორციელებას. წარსული გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ საქართველოში კანონები, რომლებიც ბუნდოვანია, შეიძლება გამოყენებული იქნას დასაჯარიმებლად, დასასჯელად, დასასუსტებლად ან კონკრეტული ბიზნესის გასაკოტრებლად. აქედან გამომდინარე, არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ ვივარაუდოთ, აღნიშნული კანონის შესაძლო გამოყენება ზოგიერთი მყარად დაფუძნებული ბიზნესის ბაზრიდან გასაყვანად“, — აცხადებს ასლი.

ადგილობრივი მწარმოებლები კი საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის პროტესტს არ უერთდებიან და ვაჭრობის დაცვის კანონპროექტს მხარს უჭერენ. კანონის ამოქმედების შემდეგ, ქართულ ბაზარზე იმპორტის განხორციელება ყველა კომპანიას აღარ შეეძლება - ასეთი შეფასება კომპანია „საქკაბელის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ედიშერ მამალაძემ გააკეთა, რომელიც ფადი ასლის პოზიციას არ ეთანხმება. მისი აზრით, აღნიშნული კანონი სწორედ რომ ხელს შეუწყობს ქართული ადგილობრივი პროდუქციის განვითარებას და ამით საქართველო საკუთარ ბაზარს დაიცავს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და კომპანია „ყაზბეგის“ დამფუძნებელი გოგი თოფაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კანონის მიღების შემთხვევაში ქართული და უცხოური პროდუქცია თანაბარ პირობებში აღმოჩნდება და ისეთი პროდუქციის შემოტანის საჭიროება, როგორიც, მაგალითად, ჩაი და ტომატ პასტაა, აღარ იარსებებს.

„რატომ უნდა ხდებოდეს საქართველოში ჩაის, ტომატ პასტის იმპორტი, როდესაც ქართველ მეწარმეებს თავისუფლად შეუძლიათ მისი იმ რაოდენობით წარმოება, რომ ქართული ბაზარიც დაკმაყოფილდეს და ექსპორტზეც გავიტანოთ?“ — კითხულობს თოფაძე.

მისივე აზრით, ქართველი მწარმოებლების ხელის შესაწყობად აღნიშნული კანონპროექტის მიღება აუცილებელი იყო. იმპორტის შეზღუდვით, ქართული და უცხოური კომპანიები თანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან და მეტი საწარმო გაიხსნება.

გიორგი ბექაური

◎ ალიან-ჩალიანი

მომავალ წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი შემცირდება

წლის დასასრულამდე ორი თვით ადრე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი ცარიელია, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა.

— პრეზუდენტის სარეზერვო ფონდში უკვე აღარაფერი აღარ არის, ის ორი თვით ადრე ამოიწურა. პრეზიდენტმა 10 მილიონი ლარიდან 5 280 000 ლარი საკუთარ ადმინისტრაციის ხარჯებს მოახმარა, ნახევარი მილიონი ლარი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების წახალისებას მოხმარდა და ა.შ. რაც შეეხება მთავრობის სარეზერვო ფონდს, 50 მილიონი ლარიდან დახარჯულია დაახლოებით 35 მილიონი ლარი. თანხების ძალიან დიდი ნაწილი მოხმარდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, — განაცხადა ხადურმა.

რაც შეეხება მომავალ წელს, მინისტრის განმარტებით, მთავრობის სარეზერვო ფონდი იგივე დარჩება, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი კიდევ უფრო შემცირდება და 5 მილიონი ლარით განისაზღვრება.

ამასთან, ნოდარ ხადური მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კახა კალაძის უწყებისთვის გამოყოფილ თანხებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება რამდენიმე მიზნით, მათ შორის გაზიფიცირებისთვის იქნა მიღებული.

გამორიცხულია, აფხაზეთსა და საქართველოს, როგორც ორ სახელმწიფოს შორის, რაიმე დოკუმენტი გაფორმდეს

ასე გამოეხმაურა პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ჩირიკბას განცხადებას.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გია ვოლსკიმ განაცხადა, აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობს.

— მეორე, გამორიცხულია, რომ აფხაზეთთან როგორც სახელმწიფოსთან რაიმე გაფორმდეს, გინდა უსაფრთხოების ხელშეკრულება, ან სხვა დოკუმენტი. ომის წინა პერიოდში იყო რასაკვირველია პერიოდი, როდესაც ბევრი შეთანხმება ფორმდებოდა აფხაზებთან და ოსებთან და იყო საკითხები, რომელსაც ეწერებოდა ხელი. თუმცა ეს არ გულისხმობდა რაიმე საერთაშორისო სამართლებრივ აღიარებას აფხაზეთის ან ოსური მხარის. ასე, რომ ეს შეკითხვა არ არის აქტუალური, არ არსებობს აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მასთან საქართველოს არანაირი შეთანხმების გაფორმების არც სურვილი აქვს და ეს არც ნორმალური იქნება სამართლებრივი თვალსაზრისით, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა აცხადებს, რომ ჟენევის მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე საქართველომ და აფხაზეთმა ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით შეაძლოა, შეთანხმებას მიაღწიონ. როგორც ჩირიკბამ „რია ნოვოსტის“ განუცხადა, მომდევნო რაუნდი 17-18 დეკემბერს არის ჩანიშნული.

ვანო მერაბიშვილის პროცესი 19 ნოემბრისთვის გადაიდო

26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა 19 ნოემბრისთვის გადაიდო.

მოსამართლემ ქეთევან ჯაჭვაძემ პროცესი 19 ნოემბერს 12 საათზე ჩანიშნა.

პროცესის გადადების მიზეზი კი მოსამართლის გრაფიკი გახდა. როგორც პროცესის დასრულების შემდეგ მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განაცხადა, ქეთევან ჯაჭვაძემ აღნიშნა, რომ იმავე დღეს 12 პროცესი ჰქონდა, რის გამოც სასამართლო პროცესის გადადება მოითხოვა.

რაც შეეხება შემდგომ პროცესს, ადვოკატის თქმით, 19 ნოემბერს ჩანიშნულ პროცესზე მხარეები მტკიცებულებათა ნუსხას წარმოადგენენ. ასევე ადვოკატის თქმით, დაცვის მხარეს გარკვეული შუამდგომლობები ექნება.

ვანო მერაბიშვილის პროცესზე გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები იმყოფებოდნენ.

◎ თხას უთხრეს, მგელი მომკვდარა!

წავიდა, ჰეე!

როგორც მიხვდით, ეს წერილი მეტად საინტერესო თემას, ანუ სააკაშვილის წასვლა-არწასვლას ეხება.

„წაეთრა! წაშავდა! წაბნელდა!“ ასეთი სათაური გამოიტანა პირველ გვერდზე ერთ-ერთმა გაზეთმა, რომელზეც ვანო ჯავახიშვილმა თავის შოუში საკმაოდ მკვეთრი და კონკრეტული პასუხი გასცა:

რომ მოეთრეს, მოშავდეს და მობნელდეს, მერე სად მიდიხართო!

რა, ტყუილი თქვა?

მართლა რომ მოეთრეს, მოშავდეს და მობნელდეს მერე სად მივდივართ?

არადა იმ შედეგებით, რომელიც დაიდო, საკმაოდ რეალური შანსი გაუჩნდა.

იმის ნაცვლად, რომ ნაციონალური მოძრაობა საერთოდ გამქრალიყო ქართული პოლიტიკური სივრციდან, იმის ნაცვლად, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისთვის, თავები სახალხოდ გადაეპარსათ და ისე გაეშვათ ქუჩაში (როგორც საფრანგეთში ნაცისტებთან თანამშრომლობაში ბრალდებულებს გადაპარსეს), იმის ნაცვლად, რომ ნაციონალური მოძრაობა, ისევე როგორც უკრაინაში კომუნისტური პარტია, აეკრძალათ დ.ა.შ. ყველაზე მთავარ ოპოზიციურ ძალად დაფიქსირდა!

„ჩვენ ავინაზღაურებთ დაკარგულ დროს და გავაგრძელებთ სვლას უკეთესი მომავლისკენ“ — განაცხადა სააკაშვილმა არჩევნების შემდეგ.

რაო, ხომ არ შეჩქვიფდით?

ზუსტად ასე დაემართათ სოციალური ქსელის ფეისბუკის იმ მომხმარებლებს, რომლებმაც საარჩევნო ყუთების დახურვიდან სულ რაღაც ხუთ წუთში ისეთი ზარ—ზეიმი ატეხეს, რიო დე ჟანეიროს კარნავალსაც შეშურდებოდა, მაგრამ სულ ცოტა ხანში გაჩნდა სტატუსი:

თხას უთხრეს — მგელი მომკვდარა!
თხამ ნავარდი ქნა. გაიქცა:
თხაო. ნუ გაგხარებია.
განა სამგლეთი დაიქცა.
იმას რომ დარჩა ლეკვები.
ისინიც მგლებად მაიქცა.

გაჩნდა და ისინიც ჩაფიქრდნენ.

ჩაფიქრდნენ და ატყდა ერთი რუზრუზი და რია-რია.

„ქუჩაში შემხვედრი ყოველი მეხუთე მომერიდეთ, ან სჯობს დამარკირდეთ თქვენითვე, პატარა ცოცხები ჩამოიკიდეთ. ერი უნდა ცნობდეს საკუთარ მეცოცხეებს...“

„ხვალიდან ყოველ მეხუთე შემხვედრს პანჩურს ვურტყამ (გონივრული ეჭვის საფუძველზე, რომ ნაციონალებს მიცა ხმა) ესაა ჩემი ეგზიტპოლი“.

„კი, იმან გაიმარჯვა, ვისაც ხმა მივეცი, მაგრამ რატომღაც არ მაქვს გამარჯვების განწყობა...“.

კიდევ ბევრი სტატუსი იყო და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ნაციონალური მოძრაობა მეორე პოლიტიკურ ძალად დაფიქსირდა.

დაფიქსირდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც. იმ ევროპაში, რომლის შიშითაც აწ უკვე მოძველებული ხელისუფლება (ერთი წელიწადი ხელისუფლების არსებობის ერთი მეოთხედია), ძრწის და მკვლელებს, დიახ, მკვლელებს „ვაშლის უპრაგონოდ გათლის“ ბრალდებით აკავებს.

„პრეზიდენტ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში საქართველომ მიაღწია შესანიშნავ პროგრესს და ახლა მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ შემდგომში მოხდება ამ პროგრესის პოლიტიკური და ეკონომიკური კონსოლიდაცია ჩვენ მოველით, რომ საქართველო პატივისცემით მოეპყრობა ისეთ ვალდებულებებს, როგორიცაა თავისუფალი და პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა, ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღდეგებით შერჩევითი სამართლის ნებისმიერ ფორმას.ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ასრულებთ საპრეზიდენტო ვადას და ჩვენ თავდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო დღეს უფრო სტაბილური დემოკრატიაა, ვიდრე ადრე“, — განაცხადა მანუელ ბაროზომ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ.

ესეც არჩევნების შემდეგ მოხდა.

არჩევნების შემდეგ ე.წ. „ღუბერნატორები“ გადადგნენ და ამის შესახებ სახალხოდ განაცხადეს.

ძალიან სასაცილო და ამავე დროს შემზარავი იყო ერთ-ერთი „ღუბერნატორის“ ფრაზა: — მე ვერ ვიმუშავებ ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთანო.

ამ ფრაზას კიდევ გადაყლაპავდა კაცი, მაგრამ საოცრად მენიშნა ერთ-ერთი ყოფილი „ღუბერნატორის“ ლადო ვარძელაშვილის ნამოდელარი მეუღლის ირინა ონაშვილის მიერ ფეისბუკში გავრცელებული სტატუსი: **„მე ახალი იდეა მაქვს. ხომ შეიძლება, რომ ამ ბრბოს არ ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი და სპეციალურად შექმნილმა განათლებული ადამიანების საზოგადოებამ ან რა ვიცი... რამე კიდე...“,**

ჰო, ირინა ონაშვილის განათლების დონე, მისი ინტელექტი იძლევა იმის უფლებას, რომ ასეთი იდეები შემოგვთავაზოს.

მართალი გითხრათ ამ წიწკვინს ნამდვილად არ მივაქცევდი ყურადღებას, რომ არა პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის, ქალბატონი თინათინ ხიდაშელის განცხადება:

„საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მაშინ იქნებოდა აქტუალური, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე არა „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ სხვა პოლიტიკური ძალა გავიდოდა“.

ამ ფრაზით ქალბატონმა თინათინმა „დააკანონა“ და „ახსნა“ თავისი პარტიული თანამებრძოლის, ლევან ბერძენიშვილს ფრაზა: ჩვენ ბურჯანაძის გასვლას, ბაქრაძის გასვლა გვირჩევნიაო.

ახსნა და დღევანდელ არალეგიტიმურ პარლამენტის წევრებს, პრეზერვატივების, ჩოხა—ახალუხების და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოძრაობის წესების შესახებ კანონებზე მუშაობა დაუკანონა (აუუ, ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით გეხვეწებით ელემენტარული მათემატიკა არ დამაწყებინოთ, ანუ რამდენმა ამომრჩეველმა არ მიიღო მონაწილეობა, რამდენმა მისცა ხმა მმართველ ძალას დ.ა.შ. ამას თქვენც კარგად დათვლით).

თუ ძალიან ჩავუღრმავდებით, ქალბატონი თინა და ქალბატონი ირინა ერთნაირად აზროვნებენ ანუ ხალხის ლეგიტიმაციას ყურადღებას არ აქცევენ.

მიშა არსად არ „წათრეულა! წაშავებულა! და წაბნელებულა!“

კიდევ არ გჯერათ?

მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა ბოლო საარჩევნო ყუთის დალუქვის შემდეგ ევროპაში გაფრინდნენ. მანამდე კი მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა:

„როდესაც კიევის უნივერსიტეტში მოსახვედრად თბილისში ვაბარებდი გამოცდას, მეორე დღეს, უნივერსიტეტის წინ ველოდებოდი შედეგების გამოცხადებას და მეგაფონში გამოაცხადეს, რომ როგორც ოქროს მედალოსანი, ერთი გამოცდით ჩავირიცხე კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. თავქუდმოგლეჯილმა ავირბინე მაღლივი კორპუსის კიბე, წავიფორხილე და წავიქეცი... იქ მდგომი მილიციელი წამოდგომაში დამეხმარა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა ის, რაც მთელი ცხოვრება არ დამავიწყდება: „მთავარი დაცემა კი არა, ფეხზე წამოდგომაა და შენ ახლა ყველაფერს თავიდან იწყებ, ყველაფერი წინ არისს“

ამაზე პირდაპირ როგორღა თქვას სათქმელი ამ ადამიანმა?

„რაღაც ყარს საქართველოს სახელმწიფოში!“

დიახ, მართლაც რაღაც ყარს საქართველოს სახელმწიფოში და თანაც ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე.

ისე გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: — რა, მე რომ არ გითხრათ, თქვენ არ იცით?

წავიდა? მე რაღაც არა მგონია. თქვენ?

გია გაბრიჭიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **სად იყო Apple თავისი I-phone ან I-pad-ით, როცა იაკობ გოგებაშვილმა ჩვენ I-ია გვაჩუქა.**

● **ბარნოვი ნეხვატკაშია, ფარდებს და ლუსტრებს რო ჩამოხსნით მერე გავალ რეზიდენციიდანო.**

● **ეხლა მივხვდი, რატოა დიდ გულზე ბაქრაძე, თუ რამეა, ქვეყნიდან ისე გაიქცევა, შლაგბაუმის აწევაც არ დაჭირდება.**

● **დარჩა ენერგეტიკა უპატრონოდ ყველამ ჩვენ-ჩვენ ფაზას მივხედოთ.**

● **დიდი სისულელეა საქართველოში მონარქიის აღდგენაზე ლაპარაკი, მით უმეტეს აბსოლუტურ მონარქიაზე — დუალისტურზე კიდე იფიქრებდა კაცი (ქალიც).**

● **საზმაუ რო სამეფო ხაზინიდან დაფინანსდება პაიჭაძე ბისონით და სკიპტრით წაიყვანს დებატებს?**

● **ეს ვანო მაჭავარიანი კი არა, როგორც თვითონ ყვება, არსენა ოძელაშვილი ყოფილა!**

● **არავინ ხართ მადლიანი რო სააკაშვილს გააგებინოთ: დღეს 2013 წელია და არა 2006 წელი.**

● **კატეგორიულად არ ვეთანხმები არაფერს, ახალი გაღვიძებული ვარ!**

● **ეს გიგი წერეთელი რთბა-ა, თუ მჭსო?**

● **ვერანაირი არგუმენტი ვეღარ გადამარწმუნებს სააკაშვილის დაჭერის აუცილებლობაში!**

● **ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ იმ სტანდარტიდან ვერ ვუსვევთ, რომელიც უკვე ოც წელზე მეტია დაინერგა, „დღეს უარესია, ვიდრე გუშინ იყო“. ჯერ 2004-ში ვართ. ოცნების კომფორმიზმი სტანდარტიდან არ გადაგვახვევინებს. წინ ძალიან, სამწუხაროდ, საინტერესო ცხოვრება გველის. სავარაუდოდ პირველი გასართობი იქნება, სვანების ცემა-ტყეპით გამოყრა დასატბორი სოფლებიდან, კოჭებში ვატყობ მთავრობას!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ წკეპლიკა

მიშა გინესის ლაურეატია

პატივცემულო მკითხველო, უნდა გაცნობოთ, რომ იმის შემდეგ, რაც გინესის კომიტეტი გაეცნო მიშას მრავალმხრივ ნიჭს — ძალადობის, ვერაგობის, უღირსობის, უზნეობის, სიბრიყვის სფეროში, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება აღიარონ ლიდერად ამ სფეროში და მიეკუთვნოს საპატიო ადგილი გინესის წიგნში.

ლონდა მდივანი.

P. S. მიშას ასევე ელოდება უმაღლესი ტიტული, როგორც დიდოსტატს, ახალი სიტყვის მთქმელს, რეფორმატორს არქიტექტურაში, იგი თავის ნიჭით წინ უსწრებს ბრუნელესკის, კორბუზიეს, რაიტს.

ყოჩაღ, მიშიკო!

ლ. მ.

◎ ალიან-ჩალიანი

სააკაშვილის მოგზაურობები ბიუჯეტს დიდი თანხები უჯდება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ინფორმაციით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საზღვარგარეთ მოგზაურობას უახლოეს დღეებში ისევ აპირებს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე უმრავლესობის წევრმა ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, უახლოეს დღეებში სააკაშვილი აპირებს გამგზავრებას ბელგიაში, შემდეგ კი — არაბეთში. დეპუტატის თქმით, პრეზიდენტის მოგზაურობები ბიუჯეტს დიდი თანხები უჯდება და ამიტომ თავი უნდა შეიკავოს მოგზაურობებისგან.

მისივე თქმით, პრეზიდენტი გადარჩეულია, თუმცა ის ცდილობს, სახელმწიფო ხარჯები მაქსიმალურად გამოიყენოს და დარჩენილ პერიოდში საზღვაგარეთ იმოგზაუროს. კვაჭანტირაძის განცხადებით, როგორც ჩანს, პრეზიდენტი დაკავებულია საკუთარი სამომავლო გეგმებით და სწორედ ამიტომ დადის საზღვარგარეთის ქვეყნებში.

იგეგმება ამხანაგობების თავმჯდომარეთა წახალისება

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ყველა აქტიური ამხანაგობის თავმჯდომარე წახალისდება. ამის შესახებ თბილისის საკრებულოში საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ნიკო ხაჩირაშვილმა განაცხადა, რომელმაც პრესკონფერენციაზე მერიის მიერ თბილისის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების დოკუმენტაცია წარმოადგინა.

ხაჩირაშვილის თქმით, დღესდღეობით მერიას აქვს საჭირო ოდენობის თანხა. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ბიუჯეტის ცვლილებისა და 4 მილიონი ლარით გაზრდის თაობაზე, მერიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

საკრებულოს დეპუტატის განმარტებით, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმაზე, რომ საკრებულოს მერიისთვის თანხების შემცირება არ განუხორციელებია და მერიის მიერ აგორებული კამპანია საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა.

მისივე თქმით, ნოემბერში საკრებულო ამხანაგობების თავმჯდომარეთა დაფინანსების იმ წესს დაამტკიცებს, რომლის მიხედვითაც, უკვე ამა წლის მეოთხე კვარტალში ყველა აქტიური თავმჯდომარე წახალისდება.

როგორც ბრიფინგზე გახდა ცნობილი, საკრებულოს ფრაქციები აღნიშნულ წესთან დაკავშირებით მუშაობას უახლოეს დღეებში დაიწყებენ.

ინტერპრესი

◎ ექსპერტთა აზრი

ბიძინა ივანიშვილის მეორე გეგმა

***შს მინისტრი** და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი ხალხს მოთმინებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს ძალიან კარგად მოფიქრებული და ბრძნულად გაწერილი გრძელვადიანი გეგმა ჰქონდა, რომელიც წარმატებით შეასრულა. ახლა შესასრულებელია მეორე გეგმა, რომელსაც ივანიშვილი კიდევ უფრო წარმატებით ასრულებს.*

„ასე რომ, ხალხს ვთხოვ — ცოტა ხანს მოვითმინოთ. ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი მოწოდება და რჩევაა. ახლა მოთმინების რეჟიმში ვართ. დიდი საქმეების გადაწყვეტას დიდი მოთმინება სჭირდება. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერი იმაზე ბევრად უკეთესად იქნება, ვიდრე ეს რომელიმე ჩვენგანს წარმოუდგენია. მე ზოგადად ვიცი, როგორ განვითარდება საქართველოში მოვლენები“, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი „ქრონიკასთან“ საუბრისას.

მართალია, ირაკლი ღარიბაშვილს არ დაუკონკრეტებია, რომელ გეგმებზეა საუბარი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი გეგმა ნაციონალებისგან ქვეყანაში დამკვიდრებული ისტერიის და მათი პოლიტიკისგან ჩამოშორება იყო, დარჩა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გეგმის შესრულება — ეკონომიკის აღორძინება და სამართლიანობის აღდგენა, რადგან ეკონომიკის წინსვლას სამართლიანობის დამკვიდრების გარეშე აზრი დაეკარგება.

სავარაუდოდ, რომელ გეგმებზე საუბრობს ირაკლი ღარიბაშვილი და რას ნიშნავს ნომერ პირველი და მეორე გეგმები?! ამის შესახებ ექსპერტები გვესაუბრებიან.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ კონკრეტულად არავინ იცის, რომელ პირველ და მეორე გეგმაზეა საუბარი. თუ აქ იგულისხმება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბიძინა ივანიშვილის მიერ გაცემული დაპირებები, რომ „ქართული ოცნება“ ზედმეტი ვაი-ვაგლახისა და საზოგადოებრივი დაპირისპირების გარეშე მშვიდობიანად შეძლებდა ნაციონალების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას, მაშინ ეს გეგმა შესრულდა და ამას ჩვენ ყველანი ვხედავთ. ამდენად, ეს წარმატებული გეგმაა.

თუმცა, ექსპერტის მოსაზრებით, მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში, კოაბიტაციის პირობებში ცხოვრება საკმაოდ რთული იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული ძალისთვის, მაგრამ ესეც შევძელით და მივედით საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელიც მშვიდად და ობიექტურად, უჩვეულო ხარისხის დემოკრატიულობით ჩატარდა.

ამის მიუხედავად, ვახტანგ ძაბირაძე დღესაც მიიჩნევს, რომ ქვეყანაში, რომელმაც გარკვეული სიჩქარე აიღო და რაღაც მიმართულებით დაიწყო მოძრაობა, არ შეიძლებოდა ივანიშვილის წასვლა პოლიტიკური ასპარეზიდან და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცვლილებების შეტანა. ივანიშვილი რომ პოლიტიკაში დარჩენილიყო, დინამიური პროცესი კიდევ უფრო დინამიური გახდებოდა.

„საჭირო იყო ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა ახალი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ, ბიძინა ივანიშვილი გადადგა. დასახელებულია პრემიერობის ახალი კანდიდატი — ირაკლი ღარიბაშვილი, რომელთანაც ნაკლები კითხვები აქვს მტერსაც და მოყვარესაც. ერთადერთი, გარკვეულ სიფრთხილეს აღძრავს ახალი პრემიერის ახალგაზრდული ასაკი და პოლიტიკურ საქმიანობაში მისი არცთუ ხანგრძლივი გამოცდილება. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის გეგმის მეორე ნაწილს, მიდგომა აბსოლუტურად სწორია, რომ ყველაფერი ერთ დღეში ვერ გაკეთდება და, ირაკლი ღარიბაშვილის ნათქვამის არ იყოს, საზოგადოებას მოთმინება და გამძლეობა სჭირდება. თუმცა, საზოგადოებას სჭირდება იმის დანახვაც, რომ ქვეყანა ნელ-ნელა წინ მიდის. წინაღმდეგ შემთხვევაში, ასეთი განცხადება დეკლარაციული ხასიათის იქნება და ამ დეკლარაციებს ჩვენ მიჩვეულნი ვართ არა მარტო დამოუკიდებლობის, არამედ უფრო ადრინდელ პერიოდშიც“, — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

კერძოდ, პოლიტოლოგი იხსენებს, რომ მანამდეც სულ დეკლარაციული განცხადებებით გვკვებავდნენ იმპერიული, საბჭოური თუ კომუნისტური ხელისუფლებები. ამიტომ, როცა საზოგადოებას მოთმინებისკენ მოუწოდებენ, ჯერ უნდა აჩვენონ, რომ გუშინდელთან შედარებით, ჩვენ ერთი ნაბიჯით თუ ნახევარი ნაბიჯით წინ წავიწიეთ, უნდა დაგვარწმუნონ, რომ პერსპექტივაში ეს გზა სწორი იქნება. თორემ, მხოლოდ მოწოდებები საკმარისი ვერ იქნება.

ამიტომ ვახტანგ ძაბირაძის აზრით, ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიულ რელსებზე ქვეყნის გადაყვანა უნდა დაიწყოს. ის, რომ არჩევნები ჩავატარეთ და რეპრესიები აღარ არის, ეს ხელისუფლების კეთილი ნებაა. მოსახლეობაში კი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნილება საკმაოდ დიდია, ამიტომ, ამ მიმართულებითაც უნდა გადაიდგას ნაბიჯი. რაც შეეხება ეკონომიკურ აღმავლობას, ის ვერ განხორციელდება სწრაფად. ეს ძალისხმევას, ფინანსებს საჭიროებს და ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს, მაშინ, როცა სამართლიანობის აღდგენა რთულია, მაგრამ ის აუცილებელია. ეს პროცესი გაიწელება, მაგრამ ხელისუფლებაც და საზოგადოებაც უნდა მიეჩვიონ, რომ პრობლემები რეალურ დროსა და სივრცეში აღიქვან.

ექსპერტი ფიქრობს, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან წასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფრის უფლება მიეცემა ჩვენს ხელისუფლებას. დასავლელი პარტნიორები მიიჩნევენ, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს პოლიტიკური რეპრესიების გარეშე. ამიტომ, ესეც დროში იქნება გაწერილი და ხელისუფლებამ გულწრფელად უნდა თქვას, რომ ჩვენ დროში უნდა გავწელოთ ეს პროცესი. ამასობაში კი, ნელ-ნელა, უნდა დავარწმუნოთ ჩვენი მეგობრები, რომ სამართლიანობის აღდგენა არაფრით უკავშირდება პოლიტიკურ რეპრესიებს.

„მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები ორგანული და საზოგადოებისგან მხარდაჭერილი. თორემ ზოგადი განცხადება — მოითმინეთ და ხვალ-ზეგ კომუნიზმში ვიცხოვრებთ, შედეგის მომტანი არ იქნება. თანაც, გასათვალისწინებელია ერთი რამეც - მე აჩემებული კი არ მაქვს ივანიშვილის პრემიერობა, უბრალოდ, სულ სხვაა, როცა ივანიშვილი ლაპარაკობს ამ ყველაფერს და სხვაა — ღარიბაშვილის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, აპრიორი რწმენა არსებობს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ასაკთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება“, — აცხადებს პოლიტოლოგი.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ემზარ ჯგერენაია** ეთანხმება ირაკლი ღარიბაშვილის ნათქვამს, რომ გეგმის პირველი ნაწილი შესრულებულია, რაც მიხეილ სააკაშვილის და, ზოგადად, ნაციონალების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას გულისხმობს. თუმცა, მისი აზრით, გეგმის მეორე ნაწილი ეხება ეკონომიკის აღორძინებას, ენერგეტიკის, დასაქმების პრობლემატიკას და სხვა.

მისი თქმით, ყველანაირად მუშაობენ იმისთვის, რომ რეალურად მთავრობამ გეგმის მეორე ნაწილი შეასრულოს და ეკონომიკა გააჯანსაღოს. თანაინვესტირების ფონდი ასრულებს ამ იდეებს და ფულის პრობლემა აღარ არის.

„უბრალოდ, პროექტების პრობლემაა. არ ჰყოფნით პროექტები და ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილი არაბი თუ ებრაელი ბიზნესმენების ჯგუფების ჩამოსვლის შემდეგ საუბრობდა. თუმცა, ალბათ, უახლოეს ხანებში პროექტებიც გამოჩნდება. ორხელისუფლებიანობა და გაურკვევლობა ხელს უშლიდა ამ პროექტების განხორციელებას. მარტო ფონდის შესახებ არ არის აქ საუბარი. ფონდი ერთ-ერთი პატარა ნაწილია მომავალი ეკონომიკის ზრდისთვის. აქ საუბარია პრივატულ პროექტებზე არაბებთან, ებრაელებთან და სხვებთან. ყველაფერი კეთდება ნორმალური ბიზნესგარემოს შესაქმნელად. თითოეულმა ქართველმა უნდა იცხოვროს უფრო კარგად, ეს არის ძირითადი მიზანი“, — აცხადებს ემზარ ჯგერენაია.

მანანა ნოზაძე

◎ ეს მართლაც „პარად ალეა!“

მაგისტრები, ჩვეულებრივ, გამოუცდელები არიან ხოლმე

როლანდ ქარდავაზე ამას ვერ ვიტყვით. ის ბავშვთა (და არა საბავშვო) თეატრის — „მეორე სახლის“ დამფუძნებელი და მთავარი რეჟისორია.

ვისაც ამ მართლაც უნიკალური თეატრის ერთი სპექტაკლი მაინც უნახავს, ეცოდინება, რა გატაცებით, არტისტული საიდუმლოებებისა და ნიუანსების როგორი ცოდნით განასახიერებენ პატარა მსახიობები თავიანთსავე თანატოლებსა თუ საყოველთაოდ ცნობილ ზღაპრულ პერსონაჟებს.

ისინი აქ კიდეც სწავლობენ და კიდეც თამაშობენ.

აქ რეჟისორი, იმავდროულად, პედაგოგიცაა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რეჟისორმა, თუნდაც საკმაოდ გამოცდილმა, მაგისტრანტობა რომ მოიწადინოს.

როლანდ ქარდავას თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში **გიზო ჟორდანიას** მაგისტრანტობა ერგო.

და დადგა სამაგისტრო სპექტაკლის დროც.

სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში უნდა დადგმულიყო.

ეს, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა, მაშინაც კი, როცა წარმოდგენა სხვენში თამაშდება და არა მრავლისმნახველ ,,ბებერ სცენაზე.“

მარჯანიშვილი მარჯანიშვილია!

სხვენს მონოპიესა უფრო მოუხდებოდა.

მსახიობი საძებნელი არ იყო: „მეორე სახლის“ პატარა არტისტებთან უკვე მრავალი წელია, ნაყოფიერად მოღვაწეობს **ნათია კავსაძე** — რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი, ვისაც პედაგოგიური საქმიანობის საკმაო გამოცდილება თეატრალურ ინსტიტუტშიც აქვს დაგროვებული. ახლა კი მოზარდებს სასცენო ოსტატობასაც ასწავლის, მეტყველების კულტურასაც და, მათი მონაწილეობით, საინტერესო სპექტაკლებსაც დგამს.

პიესა?

ნანა ჭავჭანიძემ ის სწორედ ნათია კავსაძისთვის დაწერა.

მონოპიესის გმირი კლოუნესაა, ცირკის მსახიობი.

რატომ მაინც და მაინც ცირკის? — იმიტომ, რომ ნათია კავსაძე ამ სამყაროს კარგად იცნობს: ბაბუამისი **ლადო კავსაძე** ცირკის დირექტორი იყო და მთელი ბავშვობა იქ აქვს გატარებული.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მონოსპექტაკლს მხოლოდ ამის იმედით ვერ ითამაშებ. აქ მთელი სამსახიობო არსენალი უნდა გამოიყენო — ნიჭი, ოსტატობა, გამოცდილება...

ნათია კავსაძემ დაამტკიცა, რომ არსენალი ერთობ მდიდარი აქვს. მან ნამდვილად მოგვნუსხა აქტიორულ ფერთა პალიტრით, ერთი განწყობილებიდან მეორეში ბუნებრივი გადასვლით, კომედიურ და დრამატულ ნიღაბთა ოსტატური მონაცვლეობით... სპექტაკლში არის ეპიზოდი, როცა მას ხელთ ორი თოჯინა უპყრია და, ერთდროულად, მკვეთრად განსხვავებულ რამდენიმე პერსონაჟს განასახიერებს — საკუთარ თავსა და ორ მეგობარს. მსახიობი ხასიათიდან ხასიათში წამის უსწრაფესად გადადის. ეს სცენა ნებისმიერი სახელგანთქმული რეჟისორის სპექტაკლს, ნებისმიერი გამოჩენილი არტისტის ბიოგრაფიას დაამშვენებდა. რეჟისორი აქ შეგნებულად ვახსენე: მსგავსი ეპიზოდები რეჟისორისა და მსახიობის თანამოაზრეობის საუკეთესო ნიმუშია, იმ ბედნიერი შემთხვევის მაგალითი, როცა რეჟისორული გადაწყვეტა ბიძგს აძლევს საინტერესო სცენური სახის დაბადებას. იგივე შეიძლება ითქვას იმ სცენაზე, სადაც ნათია კავსაძის პერსონაჟი თავის თაყვანისმცემლებს გვაცნობს. მსახიობს ჩანთიდან რიგრიგობით ამოაქვს სხვადასხვა კონფიგურაციის ბოთლი. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურება თითოეული მათგანი, უნდა გამოვიცნოთ ამა თუ იმ თაყვანისმცემლის ბუნება. აქ ძნელი სათქმელია, სად მთავრდება რეჟისორი და სად იწყება მსახიობი. ყველა კარგი სპექტაკლი, ალბათ, ამ განცდას უნდა ბადებდეს.

ამგვარ განცდას ბადებს სპექტაკლის მშვენიერი და აზრობრივად დატვირთული მხატვრობაც **(აივენგო ჭელიძე),** რომელიც ერთ მომენტში, რეჟისორის ასევე საინტერესო გადაწყვეტის წყალობით, ისე ათამაშდება, რომ ლამის პერსონაჟად იქცევა.

მონოპიესა ერთი მსახიობის თავგადასავალს გვიამბობს. სიუჟეტი, ერთი შეხედვით, ბანალურია, მაგრამ, რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობა, დრამატურგიული ქსოვილის ბუნებრიობა და მსახიობის გულწრფელობა ბანალურობას ადვილად გვავიწყებს, უფრო ზუსტად, ამაზე ფიქრის დროსა და სურვილს არ გვიტოვებს.

სპექტაკლს „პარად ალე“ ჰქვია. ამ ცნებას ლექსიკონებში ძნელად შეხვდებით, აღიარებული აზრით კი წარმატებულ სანახაობას ნიშნავს.

მონოსპექტაკლი ამ სათაურს ნამდვილად ამართლებს. ის შეიცავს ტრაგიკულ პასაჟებს, იქ სიკვდილის სცენაც კი თამაშდება, მაგრამ შინაგანი პათოსით მაინც სიცოცხლის აპოლოგიად წარმოგვიდგება. ამით სპექტაკლი ღირსეულად გახმიანდა იმ თეატრში, რომლის სახელოვან ბიოგრაფიას მარადიულად დამგზავრებია უკვდავი შეძახილი: ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“..

იოსებ ჟუმბურიძე.

P. S. რაც შეეხება მაგისტრანტის ხელმძღვანელს, ბატონი გიზოს აზრით, ორივე გამარჯვებულია — რეჟისორიცა და მსახიობიც. უფრო მოკლედ და უფრო გასაგებად ვერც იტყვი. თანაც მაესტროს ნათქვამს რა საბუთი სჭირდება....

O. ჭ.

◎ რაც კარგია, კარგია!



სოფლიდან გადასვენილებს უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ

მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფანტულ და სოფლიდან გადასვენილ მოსახლეობას სოფელში დაბრუნების სურვილი გაუჩნდა. სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე ცვლილებებმა, კერძოდ კი, დარიგებულმა სასოფლო ბარათებმა, შელავათებმა, დიდმა მოსავალმა და რეალიზაციის გაუმჯობესებამ, ხალხს დიდი იმედი ჩაუსახა. ქალაქს შეხიზნული სოფლელები უკვე ფიქრობენ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისას სოფელს მიაშურონ. მით უმეტეს, რომ სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამა გაისადაც გაგრძელდება და გაძლიერდება.

სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, თუმცა, წლების წინ მან მნიშვნელობა დაკარგა და ხალხმა საკუთარ კარ-მიდამოზე უარი თქვა. ბოლო ერთ წელიწადში განხორციელებულმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამამ კი ადამიანებს პერსპექტივა დაუსახა, ხოლო შინამეურნეობებში გარდატეხა შეიტანა.

სოფლელები მიმდინარე მოვლენებს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაგმულ ნაბიჯებს იმედიანად უყურებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს გლეხკაცის გაძლიერებისა და მთელი ძვეყნის მასშტაბით გაფანტული მოსახლეობის დაბრუნების საწინდარია.

— წლეულს სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან მხარდაჭერასა და ყურადღებას ვგრძნობდით. სანამ მოსავალს ავიღებდით, ბარათები დაგვირიგეს, რითაც შესაწამლი შევიძინეთ და სწორედ ამიტომაც, შარშანდელთან შედარებით, კარგი მოსავალი მივიღეთ. არც ჩაბარებაზე გვქონდა პრობლემა. კერძო კომპანიები იყვნენ დაინტერესებულნი და დიდი ნაწილი მათ მივყიდეთ. თუ ადრე 1 კგ ყურძენში, საშუალოდ, 40 თეთრს გვიხდიდნენ, ახლა ეს ციფრი გასამმაგებულია.

სოფელი იბრუნებს თავის იერსახეს. ხალხს წლებია საკუთარ მიწა-წყალთან მობრუნება სურს. თუმცა, ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს. სიდუხჭირე და გაჭირვება აფრთხობთ. ბევრისგან გამიგია, რომ სათანადო პირობების შეთავაზების შემთხვევაში, სიამოვნებით განაახლებენ წლების წინათ მიტოვებულ საქმეს, — ამბობს იმერელი გლეხი ოთარ ბაღდავაძე.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები აძლევს გლეხებს იმედს, რომ ხალხი საკუთარ სახლკარს დაუბრუნდება. შეღავათიანი კრედიტები, ხვნა-თესვისთვის განკუთვნილი ბარათების დარიგება, სოფლის მეურნეობის ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც გარკვეულ პროექტებს დააფინანსებს, მოსახლეობას პოზიტიურად განაწყობს.

— საქართველოში სამუშაო ადგილების სიმცირის ფონზე, გადარჩენის საუკეთესო საშუალებად მეურნეობა, მევენახეობა, მიწათმოქმედება სახელდება. ახლა უკვე არ უნდა იყოს უგუნური საქციელი საკუთარ კერასთან დაბრუნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავრობა ასე აქტიურად ცდილობს სათანადო პირობების შექმნას, გაუმჯობესებას.

ადრე თუ გლეხებს მოსავალი ულპებოდათ, ახლა გასაღების, რეალიზაციის პრობლემა აღარ არის. ხელისუფლება ბაზრის ძიებაში დაგვეხმარა. ვყიდით მეზობელ ქვეყნებში, აგერ, უკვე იგეგმება ხილის გატანა რუსეთის ბაზარზე. კარგ ფასში იბარებენ კერძო საწარმოებიც“, — ამბობს ფერმერი მალხაზ ნოზაძე.

სპეციალისტები სამთავრობო პროგრამის წარმატებას აღიარებენ, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ქართული სოფლის სიღარიბიდან ამოსაყვანად მხოლოდ ამ მიმართულებით მუშაობა არ კმარა. მართალია, გლეხების ნაწილმა წელს ამოისუნთქა, მაგრამ ზოგადად დღევანდელი სოფელი ეკონომიურად კვლავ მძიმე მდგომარეობაშია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სტრუქტურების ლიკვიდაცია მოხდა, არავის ახალი არაფერი არ შეუთავაზებია, რამაც სოფლის დაშლა-პარალიზება გამოიწვია. მკვეთრად გაიზარდა სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქად და საზღვარგარეთ.

სოფლად დარჩენილი მოსახლეობა, ძირითადად, ხანდაზმულია, მათ შორის, ფერმერი-გლეხები შეადგენს მხოლოდ 5-7%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიწის ნაკვეთების 50% სახლს და ეზოს უკავია და დანარჩენ ნაკვეთზე მოყვანილი მოსავლის რეალიზაციით კი ოჯახი თავს ვერ ირჩენს.

ამიტომ, ექსპერტთა აზრით, საჭიროა, სოფლად შეიქმნას მრავალდარგობრივი კოოპერატივები, დასაქმდეს სოფლის უღარიბესი მოსახლეობა, გადაწყდეს სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, მოხდეს სოფლის ინდუსტრიალიზაცია.

საქართველოს სოფლის მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონია და აქედან 80% სიღარიბის ზღვარზეა და რადგან მათ საწარმოო ქონება არ გააჩნიათ, ამიტომ მრავალდარგობრივი კოოპერატივების ჩამოყალიბება და მოსახლეობის დასაქმება, ერთადერთი გამოსავალია სიღარიბის დასაძლევად.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო კოოპერატივები. აუცილებელია, რომ კოოპერატივებში ნებაყოფლობით გაერთიანდეს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. კარგი იქნება თუ კოოპერატორები დაიყოფიან ორ მიმართულებად:

1. აქტიური — რომლებშიც უშუალოდ დასაქმდება და იმუშავებს მოსახლეობა;

2. პასიური — რომლებშიც დასაქმდება სოფლის ინტელიგენცია (ექიმები, მასწავლებლები, დიასახლისები და სხვა), პენსიონერები და ის ადამიანები, რომლებიც წამოსულნი არიან ქალაქში ან საზღვარგარეთ სამუშაოდ, მაგრამ სოფელში აქვთ მიწის ნაკვეთები.

ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო ეხმარება ამა თუ იმ სახის კოოპერატივს. სახელმწიფო აძლევს კრედიტებს, უწევს საგადასახადო შეღავათებს, ხდება სპეციალური პროგრამის შემუშავება კონკრეტული კოოპერატივისათვის.

ეკა ბაძრაძე

◎ ალიან-ჩალიანი

მოსახლეობის საყოველთაო აღწერამდე ერთი წელი რჩება

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება. როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ განაცხადა, აღწერის პირველადი შედეგები აღწერის ჩატარებიდან 6 თვის შემდეგ გახდება ცნობილი, საბოლოო შედეგები კი ერთი წლის შემდეგ.

ამ თემაზე სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი დონორთა კონფერენციას მართვას. კონფერენციას ესწრება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მოსახლეობის აღწერის სამთავრობო-საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია.

მისი განცხადებით, გაერო-ს მოსახლეობის ფონდი მისი მანდატიდან გამომდინარე, ტექნიკურ დახმარებას უწევს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

— აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები 2014 წლის აპრილამდე მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება. კერძოდ, თითოეულ შენობაში მოსახლეობისა და შინამეურნეობების რაოდენობების წინასწარი დადგენის მიზნით მოხდება შენობებისა და მათში მცხოვრები მოსახლეობის წინასწარი შემოვლა. აღნიშნულ სამუშაოებში დასაქმებულთა რაოდენობა მიაღწევს დაახლოებით 4 000 ადამიანს. მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2014 წლის 5-19 ნოემბერს საველე სამუშაოების მეორე უმნიშვნელოვანესი ეტაპი — მოსახლეობის აღწერა დაიწყება. ამ მიზნისთვის შეირჩევა დაახლოებით 15 000-მდე პერსონალი, რომლებიც სპეციალური კითხვარების მეშვეობით ინდივიდუალურად გამოკითხავენ მოსახლეობას, — განაცხადა ნარმანიამ. მისივე თქმით, სულ აღწერისთვის დაახლოებით 18 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ გრძელდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით, კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ გამოცხადდა.

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ განაცხადეს, კონკურსის მიზანია ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის — ქართული დამწერლობისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია, ხელით წერით კულტურის განვითარება და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს VI-დან XI კლასის ჩათვლით; უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს; სხვა ზრდასრულ დაინტერესებულ პირებს; საზღვარგარეთ მცხოვრებ დაინტერესებულ პირებს.

„ქართული კალიგრაფიის“ კონკურსს 2010 წლიდან ჩაეყარა საფუძველი და ყოველწლიურად იმართება. კონკურსის მონაწილეებს საშუალება აქვთ თანაბარ კონკურენტულ პირობებში წარმოაჩინონ უნარი ხელით წერის კულტურაში, ასევე, აქვთ შესაძლებლობა მოისმინონ ლექცია-სემინარები შესაბამის თემებზე.

ინტერპრესი

◎ რთველი — 2013

ვაზისკენ შემობრუნება

— იმდენი ყურძენი, წლეულს კახეთის ზვრებს რთველამდე რომ შემორჩა, დაიკრიფა და გადამუშავდა, ბარე ერთი თხუთმეტი-ოცი წელია არ მოუწევიათ, — მითხრა კახეთიდან დაბრუნებულმა მეგობარმა, რომელმაც მთელი ოქტომბერი მშობლიურ კუთხეში გაატარა და ახლობელ-ნათესავებიც ერთიანად მოინახულა.

და მართლაც, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წლეულს კახეთში 84-მა ღვინის კომპანიამ და ქარხანამ 91ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიიღო და გადაამუშავა, მათ შორის 61 ათასი ტონა რქაწითელის ჯიშის, 26,5 ათასი ტონა — საფერავი, დაახლოებით 2 ათასი ტონა მწვანე კახური, დანარჩენიც სხვა ჯიშების.

ყურძნის ასეთი კარგი მოსავალი მთლიანად კახეთს კარგა ხანია არ ჰქონია, რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრმა გარემოებამ შეუწყო ხელი. კერძოდ, საწარმოებისადმი, ასევე ინდივიდუალური მევენახეებისადმი ახლებურმა მიდგომამ, რამაც ის შედეგი მოიტანა, რომ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, **კახეთში მათ 100 მილიონ ტონაზე მეტი შემოსავალი მიიღეს, მათ შორის 17 ათასმა ოჯახმა. ჩაბარების საშუალო მაჩვენებელი ოჯახზე ხუთ ტონას, ხოლო შემოსავალი შვიდათას ლარს შეადგენს.**

წლევანდელი რთველის სიახლეთა შორის აღსანიშნავია, რომ უწინდელ ორ, ასე ვთქვათ, ინდუსტრიულ ჯიშს, რქაწითელსა და საფერავს, ახლა კახური მწვანე დაემატა. რთველი 2013-ის უმნიშვნელოვანესი განსხვავება წინა წლებთან შედარებით კი ყურძნის შესყიდვის მიმართ **მთავრობის მიერ მევენახეობის სუბსიდირების პოლიტიკის ძირეული ცვლაა. მევენახეთა არაპირდაპირი სუბსიდირების არსი კი ისაა, რომ მთავრობა ყურძნის ამა თუ იმ ჯიშის ფასს კი არ ადგენდა, არამედ ყურძნის გადამმუშავებელ ქარხნებს და ღვინის კომპანიებს კილოგრამი ხარისხიანი ყურძნის ლარად და მეტ ფასად შეძენის შემთხვევაში ისინი სახელმწიფოსგან ხელსაყრელ სუბსიდირებას იღებდნენ, დადგენილ თამასაზე ნაკლებ ფასად მიმღებს საწარმოები კი ამ შემთხვევაში უსუბსიდიებოდ დარჩნენ.**

ამდენად, ღვინის მწარმოებლები უკვე თავადვე აღმოჩნდნენ დაინტერესებულნი, რომ კონდიციური ყურძენი შედარებით მაღალ ფასად შეესყიდათ, ხოლო სახელმწიფო სახსრები მართალია, არაპირდაპირი გზით, მაგრამ უშუალოდ გლეხობამდე მივიდა. ამით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მთავრობის მიერ დასახულ მიზანს წარმატებით მიაღწია, რაც, უწინარესად, რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. კერძოდ, **ყურძნის დიდი და მცირე მწარმოებელი გლეხები ერთნაირ პირობებში აღმოჩნდნენ; აქცენტი მაღალი ხარისხის პროდუქციის მოკრეფაზე გადავიდა; ყურძნის ფასი არა სახელმწიფო დიქტატმა, არამედ ბაზარმა განსაზღვრა; ღვინის მწარმოებლებს მისაღები ყურძნის ოდენობა არ დაუდგინდათ და სხვ.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად წლევანდელი რთველი ბოლო წლების მანძილზე ყველაზე წარმატებული გამოდგა, რამაც, ბუნებრივია, ყურძნის მწარმოებლების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც თავად გლეხები ამბობენ, გაზაფხულზე მიღებულ ვაუჩერებმა მიწის დამუშავებაში, ვაზის მოვლასა და შხამ-ქიმიკატების შეძენაში საგრძნობი დახმარება გაუწია, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წლევანდელი რთველი რაჭაშიც წარმატებით ჩატარდა, სადაც ყურძნის გადამუშავებაში 24-მა ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც ალექსანდროულისა და მოჯურეთულის ჯიშის ნაყოფის 980 ტონა ჩაიბარეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის ფასიც — თუ შარშან კილოგრამი 5 ლარი ღირდა, წლეულს 8-9 ლარამდე ავიდა, თუმცა კი სწორედ ამ მაღალი ფასის გამო ხვანჭკარაზე სახელმწიფო სუბსიდია არ ვრცელდებოდა.

ოთარ ტურაგელიძე

◎ განუკითხაობა

„სწრაფი ადმინისტრატორი“ თევზაძე, „ერთ-ერთი დირექტორი“ ალასანია და...

ანუ ერთ ლარად 27-ათასჯერ გასხვისებული სახელმწიფო ქონება

პრეზიდენტმა სააკაშვილმა 27 ათასჯერ სიმბოლურ ფასად, 1 ლარად ან უსასყიდლოდ გაასხვისა სახელმწიფო ქონება, — განაცხადა საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა.

მანვე განმარტა, რომ თუმცა სახელმწიფო ქონების განკარგვა პრეზიდენტის კანონიერი უფლებაა, იმ შემთხვევაში, თუ ამას დანაშაულებრივი მიზანი ედო, მაშინ ის კანონის დარღვევად ჩაითვლება.

„რა თქმა უნდა, ეს 27 ათასი გამოძიების წარმოებას არ ნიშნავს, მაგრამ არსებობს ბევრი საქმე, სადაც კითხვებია გაჩენილი პრივატიზების და მისი მიზაშეწონილობის შესახებ“, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა და აქვე დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხს აუდიტის სამსახური სწავლობს და გამოძიების მეორე ფაზა სწორედ მათი დასკვნის მიხედვით დაიწყება.

საინტერესოა, თუ კანონდარღვევა დაფიქსირდება, იმ პირებსა და ე.წ. ინვესტორებს, რომლებმაც სააკაშვილის გულუხვობით ისარგებლეს და ქონება ერთ ლარად გადაიბარეს, დააბრუნებინებენ თუ არა ნაწყალობევს?! ეს მაშინ, როცა კანონის თანახმად, ქონების გასხვისებას უნდა ჰქონდეს დიდი საზოგადოებრივი სარგებელი. სააკაშვილის განკარგულებებიდან კი არ ირკვევა, ქონების გადაცემისას რა უპირატესობით შეირჩნენ კონკრეტული პირები. გაურკვეველია ისიც, იყვნენ თუ არა სხვა მსურველებიც და მათთვის რატომ არ იმეტებდნენ მილიონიან ქონებას სიმბოლურ ფასად?! საუბარია ათობით ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, მათზე არსებულ შენობა-ნაგებობებსა და სხვა ქონებაზე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვაჟა ბერიძე მიიჩნევს, რომ ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, პრეზიდენტს უფლება ჰქონდა, გარკვეული ობიექტები ერთ ლარად გაესხვისებინა და აქ სადავო არაფერია. თუმცა, გასხვისების ხასიათი და მიზანშეწონილობა, ცალკეულ შემთხვევაში, ბევრ კითხვას ბადებს. ამდენად, ლეგიტიმურია საზოგადოების თუ შესაბამისი სამართალდამცავი უწყების ინტერესი ამ თემის მიმართ.

„ვფიქრობ, ეს არ იქნება აღქმული, როგორც პრივატიზაციის შედეგების გადახედვა, ან პრეზიდენტის კანონიერი ქმედებების რევიზია. უბრალოდ, ბევრი ისეთი ქვეტექსტი აქვს ამ ფაქტებს, რომ ამ ქვეტექსტების გამოძიება არ იქნებოდა ურიგო. ამ პროცესის მასობრივი ხასიათი და გაუმჭვირვალობა სამართლიან ეჭვს იწვევს, რადგან ზოგჯერ ესა თუ ის ქონება არ ყოფილა გადაცემული სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, თუ ანგარებითი მომენტი არ დადასტურდება, ბუნებრივია, შედეგები არ გადაისინჯება“, — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ For.ge-სთან საუბრისას.

მისივე განმარტებით, სახელმწიფო ქონების ერთ ლარად გადაცემას თავისი პროცედურები აქვს და, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, სახელმწიფოსთვის მომგებიანი იყოს მოცემული ობიექტის ამუშავება, მისი საბაზრო მიმოქცევაში მოქცევა და ა.შ.

თუმცა, სამწუხაროდ, ნაციონალების დროს საუბარია ისეთ ქონებაზეც, რომელიც ერთ ლარზე გაცილებით მეტად, ასი ათასებად და უფრო მეტადაც გაიყიდებოდა. ამ ყველაფრის მიღმა კი ვაჟა ბერიძე ანგარებას ხედავს და მიიჩნევს, რომ გასაყიდი და საბაზრო ღირებულების მქონე ქონების გასხვისება ერთ ლარად დანაშაულია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე ადასტურებს, რომ, თუ ვინმემ დანაშაულებრივი გზით გადასცა სახელმწიფო ქონება კერძო პირს და კერძო პირიც ამ უკანონობაშია ჩართული, მაშინ ამ ქონების დაბრუნების შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ, თუ ქონებას ჰყავს კეთილსინდისიერი შემძენი, ან მყიდველმა ქონება უკვე გადაყიდა და ახალი შემძენი დანაშაულებრივ სქემასთან არაფერ კავშირში არ არის, მაშინ სახელმწიფო ვეღარ დაიბრუნებს იმ ქონებას. თუმცა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაულებრივად, უკანონობით მიიღო ქონება და ამის შესახებ ყველაფერი იცოდა.

„რატომაც არა, შეიძლება, გამოძიება დაინტერესდეს ქონების ერთ ლარად გადაცემის შემთხვევებით. იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობა ერთ ლარად ქონების გადაცემის საშუალებას იძლევა, ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტის ქმედება ჩარჩოში არ ჩაჯდეს, ულიმიტო იყოს და ვისაც უნდა, სახელმწიფო ქონება მას გადასცეს. კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სახელმწიფო ინტერესი და ნებისმიერი თანამდებობის პირი, როცა მსგავს ქმედებას ახორციელებს, უნდა მოქმედებდეს საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთბალანსის საფუძველზე, ანუ საჯარო სარგებელიც უნდა იყოს გამოყოფილი. თუ ასეთი სარგებელი არ არსებობდა, ასეთი მასშტაბის ქონების გადაცემისას ჩნდება ეჭვები, ხომ არ აიხსნება ეს პრეზიდენტის მეგობრულ-ნათესაური კავშირით?!“ — აცხადებს კახა კოჟორიძე ჩვენთან საუბარში.

ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემის შემთხვევა უამრავია. ამ მხრივ ილიას უნივერსიტეტიც გამოირჩევა. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 5 ნოემბრის განკარგულებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცა 42 დასახელების უძრავი ქონება თბილისში, საგარეჯოში, დედოფლისწყაროში, წალენჯიხაში, მარტვილში, ზუგდიდში, ონში, ასპინძაში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში, ლანჩხუთში, ჭიათურაში, ყაზბეგში, ვანში, ლაგოდეხში, მცხეთაში, თეთრიწყაროში, ქუთაისში, ახმეტასა და ბორჯომში — სულ 283,000 კვ.მ-ზე მეტი ფართი. ამას გარდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა მოძრავი ქონება, სულ 12.500-ზე მეტი დასახელების ნივთი. ჩვენ დავუკავშირდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიგი თევზაძეს და დავინტერესდით, რამდენად აისახა ამ ქონების გადაცემა მათ უნივერსიტეტზე და, თუ გაანებივრა სააკაშვილმა სხვა უნივერსიტეტებიც ასეთივე „საჩუქრით“?

გიგი თევზაძის აზრით, საქართველოს კანონმდებლობით, როდესაც პრეზიდენტი უნივერსიტეტს აძლევს ქონებას, ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი თავის უძრავ ქონებას ვერ გაასხვისებს სახელმწიფოს გარეშე. თუმცა, ვერც სახელმწიფო გაასხვისებს უნივერსიტეტის ქონებას თავად უნივერსიტეტის გარეშე. ამდენად, ეს არის, უბრალოდ, ქონების დაცვა და ილიას უნივერსიტეტის პრეზიდენტი უნდა განხორციელდეს ყველა უნივერსიტეტში.

„სააკაშვილმა ამით დაიცვა ეს ქონება არაბუნებრივი ჩარევისგან. ფაქტობრივად, ჩვენი უნივერსიტეტისთვის გადაცემული ქონების დიდი უმეტესობა გავარემონტეთ. ამ უძრავი ქონების გარდა, გვაქვს მოძრავი ქონებაც, რომელიც მთლიანად უნივერსიტეტმა შეიძინა. ამიტომ ეს იყო მიზანშეწონილი. სწორედ ქონების დაცვა და ხელშეუხებლობა არის განვითარების საფუძველი“, — აღნიშნა გიგი თევზაძემ.

მანვე განმარტა, რომ, საერთოდ, გეგმა ითვალისწინებდა, რომ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს ქონება საკუთრებაში გადასცემოდა. უბრალოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეს მოასწრო სწრაფი ადმინისტრირების გამო. უფრო მეტიც, გიგი თევზაძე მიიჩნევს, რომ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ისეთი ქონება, რომელსაც მათ გარეშე ვერავინ განკარგავს.

ცნობისთვის, პრეზიდენტისგან დასაჩუქრებულთა შორის არიან პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი თემურ კოხოძე, მას კურორტი „საირმე“ 1 ლარად „აჩუქეს“. „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას“ სიმბოლურ ფასად, ანუ ერთ ლარად მიჰყიდეს ბათუმში, ჯავახიშვილის №5-ში მდებარე 1556 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 987 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნული კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი გიული ალასანიაა. სააკაშვილმა მის მიერ, წამების ორგანიზებაში დადანაშაულებულ ლევან ქარდავას, რომელსაც თურმე არ იცნობდა, 2011 წელს ერთ ლარად კოჯორში მიწის ნაკვეთი აჩუქა. ასევე, დასაჩუქრებულთა შორის არიან გიგი უგულავას ძმა — ირაკლი უგულავა, გიგი კალანდაძე და სხვები.

მარიამ ლოლაშვილი

◎ განათლება

რა ასაკში უნდა შევიდეს ბავშვი სკოლაში?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს გადახედოს 2010 წლის იმ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მშობლის სურვილის შემთხვევაში, 5 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში მიღება შესაძლებელია. განათლების სამინისტრო, შესაბამისი კვლევების საფუძველზე, სკოლასთან არსებული ინფრასტრუქტურისა და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, აპირებს შეიმუშაოს ახალი მიდგომა, თუმცა, როგორც სამინისტროში განმარტავენ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, აიკრძალება 5 წლის ასაკის ბავშვების სკოლაში მიღება თუ სასწავლო გეგმაში შევა ცვლილება, რომელიც ამ ასაკის ბავშვებზე იქნება მორგებული. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ ცვლილებები მომავალი სასწავლო წლიდან შევა ძალაში.

განათლების სისტემა ან უფრო მოდიფიცირებული იქნება იმისათვის, რომ 5 წლის ასაკის ბავშვებმა დაიწყონ სწავლა, ან სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ 6 წლის ასაკის ბავშვები მიიღონ სკოლაში. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ამბობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური. მისი სიტყვებით, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისაკენ სამინისტროს ორმა კვლევამ უბიძგა. ერთი — ეს არის 2011 წლის ანგარიში

პირველკლასელთა სასკოლო მზაობის შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად მომზადდა, ხოლო 5 წლის ასაკის მოსწავლეთა სწავლების პრობლემების კვლევა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაუკვეთა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ლია გიგაურის თქმით, ჯერჯერობით არანაირი კანონპროექტი ინიცირებული არ არის. ჯერ მხოლოდ აანალიზებენ კვლევების შედეგებს. ლია გიგაურის თქმით, მნიშვნელოვანია შემდეგი: **„გავითვალისწინოთ ამ ასაკის — 5 წლის ბავშვის — სოციალური და აკადემიური უნარ-ჩვევები, ასევე ფსიქიკური უნარ-ჩვევები, მისი მოტორიკის განვითარების დონე, გვაქვს თუ არა შესაბამისი ინფრასტრუქტურა მომზადებული, რაც სჭირდება ამ ასაკის ბავშვს და რამდენად განსხვავდებიან ის ბავშვები, რომლებიც საბავშვო ბაღიდან მოვიდნენ, იმათგან, რომლებიც პირდაპირ ოჯახიდან მოდიან სკოლებში, ანუ პრობლემების დამუშავება ხდება სხვადასხვა რაკურსით, რომ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება“.**

იმის გამო, რომ 2010 წლიდან მშობელს შეუძლია 5 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში მიყვანა, წლევანდელი პირველკლასელების 11 პროცენტი 5-წლიანია. სამინისტროს იმ 600 მშობლის განცხადებაც ჰქონდა, რომლებიც 4 წლის ასაკის ბავშვების სკოლაში მიღებას ითხოვდნენ. არადა, კვლევებმა აჩვენა, რომ ხუთი წლის ბავშვს უჭირს 35 წუთის განმავლობაში ერთ ადგილას ჯდომა, მალე იღლება, ამბობს, რომ ეძინება, შია და თამაშს იწყებს. ასევე ვლინდება ჰიპერაქტიურობა, ყურადღების კონცენტრაცია 15 წუთს არ აღემატება, უჭირს დამარცვლით კითხვა, კალმის სწორად დაჭერა და ასოების გამოყვანა. ზოგადად, ხუთი წლის ბავშვს უჭირს სკოლის მიღება, რის გამოც საკმაოდ ბევრმა მშობელმა ბავშვი სკოლიდან გაიყვანა.

საქართველოში არსებული სასკოლო გარემო აბსოლუტურად არ არის მორგებული 5 წლის ასაკის ბავშვის ემოციური და ფიზიკური განვითარების თავისებურებებს, ამბობს ფსიქოლოგი მაია ცირამუა. მისი სიტყვებით, ამ ასაკის ბავშვისთვის უმთავრესია თამაშის გარემო. საქართველოს სკოლებში კი არის თამაშით სწავლების მეთოდიკა, მაგრამ ის არ განსხვავდება მაღალ კლასებში არსებული სასწავლო მოდელისგან. ამასთან, მაია ცირამუას სიტყვებით, მშობლებს სასკოლო მზაობის არასწორი გაგება აქვთ: **„ბავშვის სოციალური უნარები არ არის გათვალისწინებული, ემოციური მზაობა არ არის გათვალისწინებული და 200 ლექსის ცოდნაზე უფრო პრიორიტეტულია ბავშვს ჰქონდეს კარგად განვითარებული ნატიფი მოტორიკა, რაც ნაკლებად პრიორიტეტულია ჩვენი მშობლებისთვის. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ბავშვმა იცოდეს რაღაც ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“, რაც დიდი ძალისხმევისა და ძალადობის შედეგად აქვს ნასწავლი და აქაც მგონია, რომ პრობლემა გვაქვს, რადგან ჩვენ გვაქვს არასწორი წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს სასკოლო მზაობა“.**

საქართველოში არ ხდება იმის გამოკვლევა, თუ რა შედეგებს იძლევა 5 წლის ასაკში დაწყებული განათლება მაღალ კლასებში, ან, ჯანმრთელობის თუ ფსიქიკური თვალსაზრისით, რა გამოვლინებებს ვიღებთ ზრდასრულ ასაკში, ამბობს, „ვალდორფის თავისუფალი ბაღის“ აღმზრდელი ნათია რურუა. ამასთან, ნათია რურუას დაკვირვებით, სწორედ 5-დან 6 წლამდე პერიოდში ხდება ბავშვებში უმთავრესი მოტორიკული და კოგნიტური უნარების განვითარება: **„როგორ მიაქვს ამბავი, ჩემგან დაბარებული, სახლამდე და მერე უკან და რამდენად დროულად; როგორია მისი კონცენტრაციის უნარი, მოსმენის უნარი, ანუ რამხელა ზღაპრის მოსმენა შეუძლია 5 და 6 წლის ასაკში, ისევე როგორც თამაშში ეტყობათ მათ განვითარება, ანუ როგორ ექცევიან პატარებს. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ყურადღებიანები არიან და თავის გარშემო არსებულ სოციუმს აღიქვამენ თუ არა. ეს მნიშვნელოვანია კლასში ყოფნისას, რომ ის არ იყოს მარტო და აღიქვას მთელი კლასი“.**

პედაგოგებისა და ფსიქოლოგების აზრით, ის 1 წელი, რომელიც მშობლებს მოგებული ერთი წელი ჰგონიათ, ბავშვებისთვის თამაშისთვის წართმეული ერთი წელია, იმ თამაშისთვის, რომელიც მას უმთავრეს ემოციურ და ფანტაზიის უნარებს უვითარებს.

ნინო ხარაძე

◎ სიახლე

საცობებით გადატვირთულ თბილისს 12 მეტრის სიგრძის ავტობუსები შეემატება

დედაქალაქის მერიამ 100 ახალი ავტობუსის შესყიდვაზე ტენდერი 4 ნოემბერს გამოაცხადა. ავტობუსების ჯამური ღირებულება 55 550 000 ლარს შეადგენს. ახალი ავტობუსები ე.წ. დიდი „ბოგდანის“ ტიპის ავტობუსებს ჩაანაცვლებს, რომლებიც თავის მხრივ, პატარა ავტობუსებს შეცვლიან. ეს იქნება 12 მეტრის სიგრძის, ამჟამინდელზე 20-25 %-ით მეტი ტევადობის ევროპული სტანდარტის შესაბამისი ავტობუსი, რომელიც არანაკლებ 85 ადამიანს დაიტევს.

ახალ ავტობუსს გაგრილება-კონდიციერების სისტემა ექნება, ხოლო ზოგიერთი პატარა ავტობუსი, რომლებმაც რესურსი ამოწურა, ჩამოიწერება. გაბარიტებიდან გამომდინარე, ახალი ავტობუსები ძირითადად ცენტრალურ გამზირებზე იმოძრავებენ.

მერიის მოთხოვნების შესაბამისად, ავტობუსებში გამოიყოფა სივრცე, მინიმუმ, ერთი ეტლისთვის, შუა კარები აღიჭურვება მექანიკურად გადასაშლელი დაფით, ეტლით ავტობუსში ასვლის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ავტობუსები იმუშავებს ბუნებრივ აირზე, იქნება ეკოლოგიურად სუფთა, აღიჭურვება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. კონდიციონერები კი თბილისის კლიმატურ პირობებზე იქნება მორგებული.

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო საშუალებებში, ასევე, განთავსდება ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემა. როგორც ამბობენ, დღევანდელ პირობებში, ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ახლანდელი ავტობუსების ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია და სწორედ მგზავრების მიერაა დაზიანებული. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ახალი ავტობუსები მწვანე შეფერილობის იქნება.

თავის დროზე, თბილისში ჰოლანდიიდან და უკრაინიდან მეორადი (20-25 წლის დაძველებული) ავტობუსების შემოყვანამ აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგს ამ ავტობუსების ყვითელი ფერი აღიზიანებდა, ზოგსაც ის ფაქტი, რომ ამ ავტობუსებში მათ ღირებულებასთან შედარებით, თითქმის, ორჯერ მეტი თანხა იყო გადახდილი და აუცილებელი იყო მათი გადაწყობა თურქეთიდან შემოტანილი სათადარიგო მასალებით. მართალია, გვარწმუნებდნენ, რომ უკრაინული „ბოგდანები“ მეტად კომფორტული, კონდიცირების სისტემით აღჭურვილი იყო და ყოველ ხუთ წუთში ივლიდა, თუმცა, მგზავრები არა მარტო „ბოგდანის“ ავტობუსების ლოდინს უჩიოდნენ, არამედ იმასაც, რომ ზოგჯერ გადატვირთულ ავტობუსებში უწევდათ ასვლა. მომხმარებელთა დაცვის ასოციაცია კი ამ პრობლემის მოგვარებას ითხოვდა. ამას დაემატა ტარიფების მატებაც და, ავტობუსებით მოსარგებლე გაჭირვებული ფენისთვის ეს 50-თეთრიანი ტარიფიც მეტად სოლიდური აღმოჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ იმ დისკომფორტზე, რასაც ყოველ გაჩერებაზე ამოსული კონტროლიორები უქმნიან მოსახლეობას.

რამდენად მომგებიანი იქნება დედაქალაქის გადატვირთულ ქუჩებში 12 მეტრის სიგრძის ავტობუსის გადაადგილება?! ამ თემასთან დაკავშირებით For.ge თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს აკაკი ჯოხაძეს დაუკავშირდა. მისი თქმით, 12 მეტრის სიგრძის ავტობუსი არანაირ პრობლემას არ შეუქმნის დედაქალაქს. პირიქით, გაუმარტივებს მგზავრებს ავტობუსით გადაადგილების საშუალებას. დღესდღეობით ბევრ მარშრუტზე მოთხოვნა დიდია, თუმცა იმის გამო, რომ მერიას არ ჰყავს დიდი ტევადობის ავტობუსი, ჭირს მგზავრთა გადაადგილება.

ამასთან, აკაკი ჯოხაძე აცხადებს, რომ 12-მეტრიანი ავტობუსის შემოყვანის გადაწყვეტილება იმ მოტივით მიიღეს, რომ ძირითად მარშრუტებზე, ცენტრალურ გზებზე პიკის საათებში მგზავრთა მომსახურების პრობლემა შეიქმნა. ეს სტანდარტი კი მათ მისცემს საშუალებას, უფრო მეტ მგზავრს ხარისხიანად მოემსახურონ. თანაც, ახალ ავტობუსებს სამი ძირითადი მახასიათებელი ექნება: ყველა ავტობუსი აღჭურვილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, კონდიცირებით და, რაც მთავარია, ყველა ავტობუსი იმუშავებს არა დიზელზე, არამედ ბუნებრივ გაზზე. ეს ბევრად ეკონომიური იქნება და 50-თეთრიანი ტარიფიც ძალაში დარჩება.

„თუ რა ტიპის ავტობუსს შემოვიყვანთ, ამას ტენდერი გვიჩვენებს. გაზაფხულზე უნდა დაიწყოს ამ ავტობუსების მოწოდება და აგვისტოს ბოლომდე დასრულდეს. ქალაქში ავტოპარკის განახლება აუცილებელია, რადგან ჩვენი ავტობუსები მეტნაკლებად მოძველდა. დღეს არსებული დიდი ავტობუსების მარშრუტებს ჩაანაცვლებს ეს ახალი ავტობუსები, შემდეგ უკვე იმ მარშრუტებზე, სადაც დღესდღეობით პატარა ავტობუსები დადის, მგზავრთა მოთხოვნიდან გამომდინარე, „ბოგდანის“ ტიპის დიდ ავტობუსებს დავნიშნავთ“, — აცხადებს აკაკი ჯოხაძე.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე თბილისში გვყავს 148 დიდი ტევადობის ავტობუსი. მართალია, აკაკი ჯოხაძეს არ ახსოვს, რა დაჯდა ამ ავტობუსების შეძენა თავის დროზე, მაგრამ გვპირდება, რომ გაგვირკვევს. იგი იმასაც აცხადებს, რომ ახალი ავტობუსები ქალაქში, მინიმუმ, 10-12 წლის განმავლობაში იმოძრავებს. ხოლო უკვე არსებული ავტობუსების ვარგისიანობა დაახლოებით 7-8 წელია.

თუ სად იწარმოება ახალი ავტობუსები, ამ ინფორმაციას აკაკი ჯოხაძე არ ფლობს და განმარტავს, რომ ამას გავიგებთ იმ დღეს, როცა საერთაშორისო ტენდერის გამარჯვებული გამოვლინდება. თუმცა, აზუსტებს, რომ ანალოგიური ტიპის ავტობუსები ამერიკაში, ევროპაში, აზიაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ანუ მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქვეყანაში იწარმოება.

„თითოეული ავტობუსის საბოლოო ფასსაც მაშინ გავიგებთ, როცა ტენდერში გამარჯვებული კომპანია თავის ფასს დაგვიდგენს. ავტობუსების ამ სერვისის მთლიანი ღირებულება კი, სავარაუდოდ, 55 მილიონ ნახევარი ლარია“, — გვითხრა აკაკი ჯოხაძემ.

როგორც For.ge-მ გაარკვია, ახალი ავტობუსების ღირებულება 6-7-ჯერ მეტია ყვითელ ავტობუსებში ე.წ. „ბოგდანებში“ გადახდილ თანხასთან შედარებით. ამდენად, საკრებულოში პირად საუბრებში არ მალავენ, რომ შესაძლოა, ეს თანხები გაბერილი იყოს და თვითმმართველობის არჩევნებში მერიის ინტერესს უკავშირდებოდეს.

ჩვენ თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს დავით ჯინჭარაძეს დავუკავშირდით. იგი აცხადებს, რომ ახალი ავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს და საკრებულოში მიიჩნევენ, რომ გადასახედია მოთხოვნა, წინმსწრები წესით ამხელა თანხის გადახდასთან დაკავშირებით.

„ჯერ არც ერთი ავტობუსი არ არის შემოყვანილი. ამდენად, გაურკვეველია, ამხელა თანხა წინასწარ რატომ უნდა გადაიხადოს მერიამ. საკრებულოს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, ახალი ავტობუსების შემოყვანას მხარს დაუჭერს თუ არა. სავარაუდოდ, გუნდში გადავწყვეტთ ამას. თბილისის საკრებულო არ გამორიცხავს ამ თემაზე დებატების დაწყებას. ჩვენ კარგად ვიცით, რა არის პრიორიტეტული ქალაქში. ამიტომ, ალბათ, ამ პრიორიტეტებს მივანიჭებთ უპირატესობას, ვიდრე კონკრეტულად ამ ავტობუსების შეძენას“, — აცხადებს დავით ჯინჭარაძე.

ჩვენ ვესაუბრეთ ავტობუსის მძღოლებსაც. ისინი აღნიშნავენ, რომ ავტობუსები ძალიან ხშირად ფუჭდება და ავტოპარკი გასაახლებელია. ამას ემატება მათი გამონაბოლქვიც. ამდენად, საჭიროა, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის შემოყვანა.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

შსს - 2013 წელს დანაშაულმა იკლო, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა კი მოიმატა

ამის შესახებ სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, რომელიც 10 თვისა და ოქტომბრის თვის დანაშაულის სტატისტიკას ეხება.

მონაცემები ასახავს კრიმინოგენური მდგომარეობას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, რეგიონების მიხედვით.

სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 7 112 ერთეულით იკლო, რაც 22,7%-ს შეადგენს, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 40,6%-ით მოიმატა და 59,1% -ია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აქვეყნებს ოქტომბრის თვის დანაშაულის სტატისტიკას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონების მიხედვით. 2013 წლის ოქტომბერში ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის კლება 1004 ერთეულით დაფიქსირდა, რაც 27,6%-ს შეადგენს. დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 64,5%-ია და 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 56,3 %-ით მოიმატა.

2013 წლის ოქტომბერში რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი დანაშაული იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მოხდა, ყველაზე ნაკლები კი — გურიაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ოქტომბერში 279 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 251 შემთხვევა, გახსნის მაჩვენებელი 90%-ს შეადგენს. გასული წლის ოქტომბერში კი 476 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 63, გახსნის მაჩვენებელი 13,2%-ია. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დანაშაულმა 197 (41,4%) იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 76,7%-ით მოიმატა.

გურიაში კი მიმდინარე წლის ოქტომბერში მხოლოდ 57 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 28 შემთხვევა. 2012 წლის ოქტომბერში კი გურიაში 53 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 3. დანაშაულმა 4 (5,5%) მოიმატა, გახსნის მაჩვენებელი კი 43,5%-ით გაიზარდა.

ამასთან, ქვემო ქართლში ოქტომბერში 187 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 110 შემთხვევა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი ამავე რეგიონში 442 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 25 შემთხვევა. დანაშაულმა 255 (57,7%) შემთხვევით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 53,2%-ით მოიმატა.

სამეგრელო-ზემო სვანეთში კი ოქტომბერში 143 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 118 შემთხვევა. გასული წლის ოქტომბერში კი ამავე რეგიონში 234 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 25 შემთხვევა, გახსნის მაჩვენებელი 10,7%-ს შეადგენს. დანაშაულის კლება 91 (38,9%) შეადგენს. გახსნის მაჩვენებელმა კი 71,8%-ით მოიმატა.

რაც შეეხება კახეთს, 2013 წლის ოქტომბერში 185 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 164 შემთხვევა, 2012 წლის ოქტომბერში კი კახეთში 212 დანაშაული მოხდა. აქედან გახსნილია 44 შემთხვევა. ამ რეგიონში დანაშაულმა იკლო 27 (12,7%) შემთხვევით. გახსნის მაჩვენებელმა კი 67,9%-ით მოიმატა.

აჭარაში ოქტომბერში 225 დანაშაული მოხდა. აქედან გახსნილია 143. 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ამავე რეგიონში 269 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 6. დანაშაულის კლება 16,4%-ია (44). გახსნის მაჩვენებელმა 61,3%-ით მოიმატა.

გარდა ამისა, შიდა ქართლში ოქტომბერში 104 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 67 შემთხვევა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი შიდა ქართლში 173 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 20 შემთხვევა. დანაშაულმა იკლო 69 (39,9%) შემთხვევით, გახსნის მაჩვენებელმა კი 52,9%-ით მოიმატა.

სამცხე-ჯავახეთში ოქტომბერში 66 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილია 55 შემთხვევა. გასული წლის ოქტომბერში კი აქ 63 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილი 12 შემთხვევაა. დანაშაულის მატება 4,8%-ს (3) შეადგენს. გახსნის მაჩვენებელი კი 64,3%-ით გაიზარდა.

მცხეთა-მთიანეთში მიმდინარე წლის ოქტომბერში 90 დანაშაული მოხდა. აქედან გახსნილია 71 შემთხვევა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ამ რეგიონში 78 დანაშაული მოხდა. აქედან გახსნილია 4., დანაშაულმა 12 (15,4%) მოიმატა, გახსნის მაჩვენებელი კი 73,8%-ით გაიზარდა.

განახლდება ასფალტის საფარი

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ზაპესი-ნატახტრის 10,73 კმ-იანი მონაკვეთი დედაქალაქის გასასვლელიდან ნატახტრის სატრანსპორტო კვანძამდე გრძელდება და ის ქვეყნის ძირითადი ავტომაგისტრალის ნაწილს წარმოადგენს.

დეპარტამენტის ცნობით, აღნიშნული მონაკვეთი ავტოტრანსპორტის, მათ შორის მძიმეწონიანი სატვირთო მანქანების მოძრაობის დიდი ინტენსივობით ხასიათდება, რის გამოც ასფალტი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.

ზაპესი-ნატახტრის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია ასფალტ-ბეტონის ზედა ფენის განახლება, წყალგამტარი მილებისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობა, კიუვეტების გაწმენდა, არსებული რკინა-ბეტონის მილებისა და გზის საყრდენი კედლების შეკეთება, საგზაო ნიშნების დამონტაჟება და გზის მონიშვნა, ასევე, აღნიშნულ გზაზე არსებული ესტაკადის, 2 გზაგამტარისა და 2 ხიდის რეაბილიტაცია. ამჟამად, ზაპესი-ნატახტრის მონაკვეთზე მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საცვეთი ფენის განახლების, გზის დაზიანებული კერების დამუშავებისა და გვერდულების გაწმენდის სამუშაოები.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ინაუგურაციისთვის ემზადება

საქართველოს ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია კვირას, 17 ნოემბერს გაიმართება. მოსკოვიდან თბილისში ოფიციალურ დელეგაციას არ ელოდებიან: დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთსა და საქართველოს შორის ჯერჯერობით არ არის აღდგენილი. სამაგიეროდ, ცერემონიაზე მიწვეულია მიმავალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები, ინაუგურაციაზე მის ყოფნას დაჟინებით მოითხოვდნენ დასავლეთის ქვეყნები.

იმის შესახებ, თუ როგორ გაიმართება ინაუგურაცია, ჟურნალისტებს უამბო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ. „ცერემონია არ იქნება პომპეზური. იგი გაიმართება დედაქალაქის რუსთაველის პროსპექტზე ძველი პარლამენტის შიდა ეზოში“, — განაცხადა მინისტრმა. მისი სიტყვებით, საპრეზიდენტო ფიცის დადების შემდეგ გიორგი მარგველაშვილი წავა გმირთა მოედანზე, რათა გვირგვინით შეამკოს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა“ მემორიალი. ძეგლი აიგო 2010 წელს და იგი ეძღვნება, მათ შორის, ქართველ მეომრებსაც, რომლებიც 2008 წლის ხუთდღიანი ომის დროს დაიღუპნენ.

ინაუგურაციის ცერემონია დამთავრდება კონცერტითა და მიღებით უცხოელ სტუმართა მონაწილეობით. ოფიციალური მონაწილეები რუსეთიდან მათ შორის არ იქნებიან. „ჩვენ მოწვევა გავაგზავნეთ 70 ქვეყანაში, მაგრამ არა რუსეთში, ვისთანაც ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობანი“, — ხაზგასმით აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა. სხვათა შორის, ჩვენი მონაცემებით, ხელისუფლებაში განიხილავენ შესაძლებლობას, რუსეთიდან მოიწვიონ კულტურის მოღვაწეები და სამღვდელოების წარმომადგენლები.

თბილისში დავობენ ცერემონიაში მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობის შესახებ

ინაუგურაციაზე მიწვევა მიიღეს ქვეყნის ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ (რომელმაც გაგვაფრთხილა, რომ, შეიძლება, არ დაესწროს ინაუგურაციას „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“), და მიმავალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ამ უკანასკნელის მონაწილეობამ ღონისძიებაში ძლიერი დებატები გამოიწვია თბილისში.

რა ამოცანებია საქართველოს წინაშე არჩევნების შემდეგ

28 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა ქვეყნის ახალი პრეზიდენტის სახელი — იგი გახდა კანდიდატი მმართველ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილი. ახლა საქართველომ უნდა მიიღოს პასუხები ორ არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე.

ცერემონიაზე მიხეილ სააკაშვილის დასწრების წინააღმდეგ მკვეთრი გამონათქვამები გააკეთეს მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერებმა. „თუ ის მოვა, მე წავალ!— განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ. — საქართველო ამთავრებს სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს, ინაუგურაციამ კი უნდა გვიჩვენოს, რომ ახალ ხელისუფლებას არაფერი საერთო არ აქვს იმ რეჟიმის დანაშაულებთან“.

მაგრამ საქართველოს დასავლელ პარტნიორებს ასეთი მიდგომა მიუღებლად მიაჩნიათ. თბილისში აკრედიტებულმა დასავლელმა დიპლომატებმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გუნდს აგრძნობინეს, რომ ინაუგურაციაზე მიხეილ სააკაშვილის არყოფნა „გაუგებარი იქნება“. როგორც ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, საქართველოს საზღვარგარეთელი პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანია „ხელისუფლების მშვიდობიანი, არაძალადობრივი გადაცემა დემოკრატიული არჩევნების გზით“.

Коммерсантъ

◎ ვინც მეგაპოლისებში ცხოვრობს

დეპრესია დიდ ქალაქში

დიდი ქალაქების მცხოვრებლებს უფრო ხშირად აწამებს დეპრესია, ვიდრე მათ, ვინც პატარა დაბებსა და სოფლებში ცხოვრობს. რატომ ხდება ასე? და როგორ დავიცვათ თავი, თუ არ ვაპირებთ წავიდეთ მეგაპოლისიდან?

იმოძრავეთ

 შოტლანდიელი მკვლევრების მონაცემებით, ნაკლებადაქტიური ადამიანები ორჯერ მეტ რისკს ეწევიან, ჩავარდნენ დეპრესიაში, ვიდრე ისინი, ვინც ბევრს მოძრაობს. სამწუხაროდ, ქალაქში ცხოვრება მეტად

განგვაწყობს სავარძლებში ჯდომისთვის, ვიდრე ფიზიკური შრომისთვის. მაგრამ ნუ ვიქნებით ვითარების მონები! იარეთ ფიტნეს-კლუბში, შეიხედეთ აუზში და უბრალოდ გაისეირნეთ. აერობული დატვირთვა ეხმარება ტვინს, მიიღოს აუცილებელი ჟანგბადი, ორგანიზმს კი — გამოიმუშაოს ბედნიერების ჰორმონი.

გამორთეთ ტელევიზორი

განსაკუთრებით თუ იგი „ფონისთვის“ მუშაობს, სანამ თქვენ დაკავებული ხართ საოჯახო საქმიანობით ან საუბრობთ. ასევე უნდა მოვექცეთ რადიოს. ხმაურის ფონი,თუმცა მას ზოგჯერ ვერც ვამჩნევთ, ძლიერ ტვირთავს ტვინს. და მივყავართ დაღლილობასთან, აგრესიასთან, განწყობილების დაქვეითებასთან.

დაგეგმეთ

დეპრესიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია — თანამედროვე ქალაქების „ცოფიანი“ რიტმი. მუდმივ ცაიტნოტსა და ფაციფუცს ხშირად მივყავართ იმასთან, რომ ადამიანი თავს გრძნობს დაკარგულად, ხდება უფრო შეშფოთებული.

ფსიქოლოგები საინტერესო მოვლენას აღნიშნავენ: მეგაპოლისის ბევრ მცხოვრებს ეშინია, გამორთოს მობილური ტელეფონი თუნდაც ხუთი წუთით. ვაითუ, რაღაც მოხდეს, და არ მოახდინოს მასზე დროული რეაგირება. დროის დინებას ვერ შეანელებ, მაგრამ შეიძლება იგი მოაწესრიგო. აუცილებლად დაიცავით დღის რეჟიმი, წინასწარ დაგეგმეთ საქმეები და გამოყავით დღეში სულ ცოტა ნახევარი საათი მაინც იმისთვის, რომ მოდუნდეთ. ჩაჯექით სავარძელში, ჩართეთ სასიამოვნო მუსიკა, დახუჭეთ თვალები და იფიქრეთ რაიმე სასიამოვნოზე. მსოფლიო თავის პრობლემებით ამ პერიოდში არ დაინგრევა, თქვენ კი მოიხსნით დაძაბულობას.

გადით ბუნებაში

ვიდეოეკოლოგია, მეცნიერება, რომელიც სულ უფრო და უფრო იხვეჭს პოპულარობას, ამტკიცებს: ცუდ განწყობილებას გვიქმნის თანამედროვე ქალაქების არქიტექტურაც კი. განსაკუთრებით სახიფათოა საძინებელი რაიონები თავიანთი ტიპური ნაგებობებით, და კაშკაშა ფერების უქონლობით. ფასადების პირდაპირ ხაზებსა და უამრავ ერთნაირ ფანჯრებს ტვინი აღიქვამს, როგორც აგრესიულ გარემოს. და ადამიანი ხდება დათრგუნვილი და აპათიური.

პრობლემა რომ გადაჭრათ, ეცადეთ ხშირად გახვიდეთ ბუნებაში. ტოტებით ერთმანეთში გადახლართული ხეების, ლანდშაფტის უთანაბრობა და შესახედავად სხვადასხვაგვარი სახლების აღქმა აძლევს ტვინს დასვენების საშუალებას და მუხტავს მას პოზიტივით.

შეიძინეთ ჰაერის გამწმენდი

სულ ახლახან ამერიკელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს: დაბინძურებული ჰაერი თრგუნავს ტვინის მუშაობას, მივყავართ ასევე დეპრესიამდეც. დაიცავით თავი სახლში მაინც — შეიძინეთ ჰაერის გამწმენდი.

იქონიეთ ურთიერთობა მახლობლებთან

ერთი დღის განმავლობაში მეგაპოლისის მცხოვრები უფრო მეტ ხალხს ხვდება, ვიდრე სოფლის მცხოვრები მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თუმცა, ყველა ეს ხალხი მისთვის უცხოა. დიდ ქალაქებში ერთმანეთთან ურთიერთობა უფრო მეტად აქვთ სამუშაოზე, ვიდრე ნაკლებად — სულიერი. შედეგი — ემოციური გადაწვა. ნუ დაივიწყებთ შეხვდეთ მათ, ვინც თქვენთვის ნამდვილად ძვირფასია. ეს დაგიცავთ მარტოობის შეგრძნებისგან ბრბოში.

დედამიწის ზურგზე

ნიუ-იორკის მერის არჩევნებზე დემოკრატმა ბილ დე ბლაზიომ გაიმარჯვა

მომავალ ვადაზე თავის პრიორიტეტებად ბილ დე ბლაზიომ დაასახელა სოციალური უთანასწორობის დონის დაბლა დაწევა, სასკოლო განათლების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომი საცხოვრებლების მშენებლობა. ამ მიზნების მისაღწევად პოლიტიკოსი სთავაზობს, გაზარდონ გადასახადები ოჯახებზე, რომელთა შემოსავალიც წელიწადში 500 ათასზე მეტი დოლარია.

ამერიკელმა თავისი 100 წლის იუბილე პარაშუტიდან ხტომით აღნიშნა

ვერნონ მეინარდმა სამხრეთი კალიფორნიიდან თავის ღირსსახსოვარ ასაკში შეასრულა პირველი ნახტომი პარაშუტით, რაზეც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ოცნებობდა. ფრენა 44 წამი გრძელდექბოდა. თავად დღეგრძელი თავის თავს „თავგადასავლების უშიშარ მძებნელს“ უწოდებს. მისმა საქციელმა გააოცა ყველა — დაწყებული ნათესავებიდან და დამთავრებული გამოცდილი ინსტრუქტორებით.

სიტუაცია სირიის გარშემო უარესდება: აშშ-მა ეჭვი შეიტანა ასადზე საიდუმლო გეგმებთან დაკავშირებით

ამას გარდა, კვლავ გადაიდო ჟენევაში სამშვიდობო კონფერენციის პერსპექტივა: მისი დაწყება გათვალისწინებული იყო 23 ნოემბრისთვის, მაგრამ რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს სამმხრივი კონსულტაციის შედეგად გამოცხადდა, რომ იგი გადაიდო წლის ბოლომდე.

ჩინეთში კომპარტიის რეგიონული განყოფილების მახლობლად აფეთქეს ბომბები: დაიღუპა ერთი კაცი

აფეთქებების სერია მოხდა ჩინეთის ქალაქ ტაიუანში დილით ადრე ჩინეთის კომუნისტური პარტიის შენობასთან, აფეთქეს მცირე ძალის რამდენიმე თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლებიც დამუხტული იყო ფოლადის ბურთულებით. დაზიანდა რვა კაცი, ერთ-ერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია.

ვენესუელაში დაამტკიცეს გარდაცვლილი ჩავესის სიყვარულისა და ერთგულების დღე

დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი, აღნიშნულია, რომ ბოლივარიის რევოლუციის ლიდერმა „შეძლო გადაექცია ვენესუელა, რომელიც ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ჩაფლული იყო კაპიტალიზმის წყვდიადში, იმედით სავსე ქვეყნად“. წელს ამიერიდან სადღესასწაულო 8 დეკემბერს გათვალისწინებულია მუნიციპალური არჩევნების გამართვა.

კოლუმბიამ ბრალი დასდო რუსულ ბომბდამშენებს თავის საჰაერო სივრცეში შეჭრაში

ინციდენტი, კოლუმბიის მხარის ვერსიით, 28 ოქტომბერს მოხდა: ორი ბომბდამშენი ტუ-160 ერთ დღეში ორჯერ შეიჭრა ქვეყნის საჰაერო სივრცეში, მიფრინავდა ვენესუელიდან ნიკარაგუაში, ამტკიცებენ ბოგოტაში. თვითმფრინავების გადატაცებისთვის ცაში გაუშვეს გამანადგურებლები. კოლუმბიის საგარეო საქმეთა სამინისტრო საპროტესტო ნოტას ამზადებს.

კამბოჯის ხელისუფლება აპირებს პოლონსკის დაპატიმრებას ინტერპოლის მოთხოვნით და მის რუსეთისთვის გადაცემას

ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, რუსეთის მთავრობამ უკვე მიმართა კამბოჯის ხელისუფლებას თხოვნით სარგეი პოლონსკის ექსტრადაციის შესახებ. ოპერაციას რუსეთელის დაპატიმრებისთვის უხელმძღვანელებს ინტერპოლის კამბოჯის განყოფილების ხელმძღვანელი გენერალ-ლეიტენანტი კეო ვანთხანი. პოლიციაში მიაჩნიათ, რომ ბიზნესმენის დაპატიმრება რთული არ იქნება.

უცნობი პუტინი

ე. კოტრიკაძე აზუსტებს, რომ „მწვანე შუქი“, როგორც ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ, ვაშინგტონს არ აუნთია.

ისევ ვენედიქტოვი და ისევ სააკაშვილის შესახებ შეკითხვა:

— პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ სინამდვილეში რუსეთი 2008 წლამდე დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ომისთვის და იმუამინდელი პრეზიდენტის (თქვენი წინამორბედის) ვლადიმერ პუტინის ციტატა მოჰყავს: „ჩვენ თქვენ ჩრდილოეთ კვიპროსს მოგიწყობთ“. სააკაშვილის სიტყვებით, ეს ციტატაა. თქვენ რუსეთის ხელმძღვანელობაში იყავით, შეგიძლიათ დაადასტუროთ ან უარყოთ, რომ ამ თემებზე მსჯელობა იყო?

დ. მედვედევი: — სისულელეა. სააკაშვილი ბევრ რამეს ამბობს. ხშირად საკუთარ მეტყველებას ვერ აკონტროლებს. არაფერ ამის მსგავსზე მსჯელობა არ ყოფილა... კონფლიქტი არავის სჭირდება. ვინც იტყვის, რომ კონფლიქტით რაიმეს გადაწყვეტა შეიძლება, ის ცრუობს. **კონფლიქტს არასოდეს კარგი არაფერი მოუტანია. ამ კონფლიქტის არიდება რომ მოგვეხერხებინა, ეს ყველასთვის, უპირველესად კი საქართველოსთვის, იძნებოდა სასარგებლო. და ის, რომ ეს არ მოხერხდა, სამწუხაროდ, დიდი ტრაგედიაა. და პასუხისმგებლობას ამ ტრაგედიაზე, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი ადამიანი ატარებს (უბრალოდ, სახელმწიფო მანძანა ასეა მოწყობილი) — ეს პრეზიდენტი სააკაშვილია.**

ამის შემდეგ **ს. შევარდნაძე** ომს, როგორც დიპლომატიის მარცხს, ისე აფასებს. და მედვედევიც, ცხადია, სააკაშვილს ახსენებს: **„ივლისში რომ მცოდნოდა, რომ მის აგზნებულ გონებაში ასეთი გეგმები მწიფდებოდა, ალბათ, უფრო მკვახედ დაველაპარაკებოდი, ვეცდებოდი, გადამეფიქრებინებინა... რაც 8 აგვისტოს მოხდა, ჩემთვის გასაოცარი იყო, რადგან სააკაშვილმა ამით საკუთარი სამშობლო გაგლიჯა. ეს არის ყველაზე საშინელი მისთვის და ქართველი ხალხისთვის“.**

ისევ ს. შევარდნაძე ასტანის სამიტის და მის შესახებ, რაც სააკაშვილმა განაცხადა:

— ვენედიქტოვთან ინტერვიუში სააკაშვილმა თქვა, რომ ასტანაში უკანასკნელი შეხვედრისას თქვენ მას თავს არიდებდით და მისთვის გასაგები გახდა, რომ კონფლიქტი გარდაუვალია.

დ. მედვედევი: „რა შემიძლია გითხრათ? ჯერ ერთი, მისგან თავის დაღწევა ძნელია, „წებოვანია“. თუ უნდა, რომ აგეკიდოს, აგეკიდება, როგორც საჭიროა. რამდენიმეჯერ მოვიდა ჩემთან. ვლაპარაკობდით, კარგად მახსოვს, ავტობუსში, პარკში სეირნობისას. მეტსაც გეტყვით. მერე ჩაის და ჭიქა ღვინის დასალევად წავედით და იქაც დივანზე ვიჯექით და ვმსჯელობდით, როგორ შევხვედროდით. ამიტომ ეს ზღაპრები მის სინდისზე იყოს, როგორც სხვა მრავალი.

ე. კოტრიკაძე: — დიმიტრი ანატოლის ძეო, პირადად სააკაშვილისა და რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე 2008 წლის შემდეგ ლაპარაკისას, ცხადია, ისინი არ ვითარდება, ურთიერთობები საერთოდ არ არის. ამავე დროს, ნათელია, რომ გარკვეულწილად ამას ლიდერების პირადი ურთიერთობაც განაპირობებდა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ ოფიციალურად წამოაყენა წინადადება დიალოგის შესახებ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. რატომ უპასუხებთ უარით, თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი ამ ქვეყნის კანონიერად არჩეული პრეზიდენტია?

დ. მედვედევი: — მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილმა დანაშაული ჩაიდინა რუსეთის ფედერაციისა და მისი მოქალაქეების მიმართ. მისი მითითებით ჩვენი ასობით მოქალაქე მოკლეს, მშვიდობისმყოფელების ჩათვლით. ამას არასოდეს ვაპატიებ და ამიტომ მასთან ურთიერთობას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დერეფნებში თვალის ჩაკვრის მცდელობა აქვს ხოლმე. ყველა სხვასთან — კი ბატონო, პრობლემას ვერ ვხედავ, ნებისმიერ თემაზე შეიძლება ურთიერთობა იმ საერთაშორისო-სამართლებრივ ჩარჩოში, რომელიც რეგიონში ჩამოყალიბდა და იმ ძალიან მძიმე და რთული გადაწყვეტილებების ჩარჩოებში, რომელთა მიღებაც მე მომიწია. ჩემთვის ეს არის კაცი, რომელსაც ხელს არ ჩამოვართმევ. მესმის, რომ საქართველოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტია. მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია მისი შეფასება, ვერდიქტის გამოტანა. ნებისმიერ შემთხვევაში, **დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან სააკაშვილი აღარ იძნება საქართველოს პრეზიდენტი, რადგან ასეთია პოლიტიკური ცხოვრების კანონები. და ამ შემთხვევაში ახალ პრეზიდენტს, ვინც არ უნდა იყოს იგი, გაუჩნდება შესაძლებლობა, დაამყაროს რუსეთთან ნორმალური, პროდუქტიული ურთიერთობები.**

მეტიც, აქვე მინდა გითხრათ, **პირადად ჩემთვისაც ძალიან მტკივნეულია, რომ ჩვენს ძვეყნებს შორის არ არის ნორმალური ურთიერთობა, ჩვენი ძვეყნები, ჩვენი ხალხები ხომ ძალიან ახლობელნი არიან. ეს იდიოტური ავანტიურა რომ არა, ის ურთულესი პროცესიც კი, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა, შეგვეძლო კიდევ წლები გაგვეჭიანურებინა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მივსულიყავით, ალბათ, ყველასთვის — ძართველების, აფხაზეთსა და ოსეთშიც მცხოვრებთათვის — მისაღებ გადაწყვეტილებამდე.**

სწორედ ამას არ ვაპატიებ არასდროს. და მიმაჩნია, რომ მას შეფასება ქართველმა ხალხმა უნდა მისცეს, მაგრამ ეს დემოკრატიული გზით უნდა გაკეთოს. მასზე საუბრის დასასრულს კიდევ ერთ რამეს ვიტყოდი. საერთოდ, ის ჩემი მადლიერი უნდა იყოს, რომ რომელიღაც მომენტში ჯარი შევაჩერე. იგი რომ თბილისში შესულიყო, დღეს, შესაძლოა, საქართველოში სხვა პრეზიდენტი ყოფილიყო.

ს. შევარდნაძე: რატომ არ მიხვედით თბილისამდე?

დ. მედვედევი: — იცით, მიმაჩნია, რომ იმ ხუთდღიანი ოპერაციის მიზანი — იძულება მშვიდობისთვის — შესრულებული იყო. უბრალოდ, უნდა შეგვეჩერებინა აგრესია, რომელიც სააკაშვილმა წამოიწყო. მე არც მოსამართლე ვარ და არც ჯალათი. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ სააკაშვილი ხალხმა უნდა შეაფასოს ხმის მიცემის თუ სხვა გზით, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ისტორიაში. მაგრამ ჩემს გეგმებში არ შედიოდა სააკაშვილის ძალისმიერი ხერხით დამხობა. და ახლა ეს გულწრფელად შემიძლია გითხრათ, მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი, თუმცა, მისი დამხობა ძალიან ადვილი იყო.

ამას გარდა, ინტერვიუში დ. მედვედევმა უამრავ თემაზე ილაპარაკა: ლიბიაზე, სირიაზე, ჩეჩნეთზე, კადაფიზე, სარკოზიზე, პუტინზე, სარგსიანსა და ალიევზე, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიებზე, მოლაპარაკების აუცილებლობასა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, პენსიებზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე, ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტზე, ... სააკაშვილს ის მხოლოდ მაშინ ახსენებს, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს.

არავითარი 39 წუთი, ცხადია, მედვედევს სააკაშვილზე არ ულაპარაკია. არც ჩვენ მოგვიტანია ამ ინტერვიუს ეს ვრცელი ფრაგმენტი სააკაშვილის გამო. უბრალოდ, იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდზე.

აგვისტოს ომი

ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი ანგუს როკსბორო თავის წიგნში „რკინის პუტინი“ მეტად საყურადღებო ფაქტებსა და კულუარულ დეტალებს აღწერს. 2008 წლის 17 თებერვალს სერბეთისგან გამოყოფილმა კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მეორე დღესვე იგი აშშ-მა აღიარა. იმ დღეებში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა პრეზიდენტ ბუშს: **„ეს პუტინის და იმათი ჯიბრით ხომ არ გააკეთეთ, ვინც ამბობს, რომ თქვენ სეპარატისტულ მოძრაობას ღიად უჭერთ მხარს მთელ მსოფლიოში“?** ბუშმა საყურადღებო პასუხი გასცა: **„სინამდვილეში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ რუსეთთან... იცით, უთანხმოება არის, მაგრამ ჩვენ, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, მივიჩნევთ, რომ ისტორია დაამტკიცებს: ეს სწორი ნაბიჯია, რომელიც ბალკანეთში მშვიდობას მოიტანს“.**

თუმცა, როკსბოროს აზრით, ვ. პუტინს ბალკანეთი როდი აწუხებდა. რუსეთს სერიოზული მიზეზი ჰქონდა, შეწინააღმდეგებოდა კოსოვოს აღიარებას და მათ შორის სერბეთთან რუსეთის „ძმური კავშირი“ ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. პანდორას ყუთი გაიხსნა. მიუხედავად ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების მტკიცებისა, რომ კოსოვოს სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ უნიკალური შემთხვევაა, გარემოებათა განსაკუთრებული დამთხვევით, რომელსაც პრეცედენტი არა აქვს, **კოსოვოს აღიარებამ მთელი მსოფლიო სეპარატისტების აღიარება გამოიწვია. თუ კოსოვოელებმა შეძლეს სერბეთიდან გამოსვლა „მეტროპოლიის“ ნების საწინააღმდეგოდ, იმაზე დაყრდნობით, რომ მათზე სამხედრო თავდასხმები, ეთნიკური წმენდა და სისასტიკე განხორციელდა, მაშინ რატომ არ შეიძლება იგივე განაცხადონ ჩეჩნებმა რუსეთის მიმართ ან აფხაზებმა და ოსებმა საქართველოს მიმართ?**

უპირველეს ყოვლისა, რუსეთს არ უნდოდა ჩეჩნური სეპარატიზმის წახალისება და იმავე დროს ერიდებოდა ოსებისა და აფხაზების წახალისებას სწორედ იმიტომ, რომ არ შეექმნა პრეცედენტი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა მცირე ხალხებისთვის, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური რესპუბლიკებისათვის. **დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა სამიტზე პრეზიდენტმა ვ. პუტინმა არაორაზროვნად განაცხადა შედეგების შესახებ: „კოსოვოს პრეცედენტი საშიშია. არსებითად, იგი ანგრევს საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ სისტემას, რომელიც არა ათწლეულობით, არამედ საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. უეჭველია, რომ ეს გაუთვალისწინებელი შედეგების მთელ ჯაჭვს გამოიწვევს.**

მიხეილ სააკაშვილმა, ერთი თვით ადრე ხელმეორედ არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, როცა გაიგონა, როგორ სდებს რუსეთი ბრალს დასავლეთის მთავრობებს უხეშ შეცდომაში: **„ამ ჯოხს ორი ბოლო აქვს და ოდესმე მისი მეორე ბოლო ძალიან მტკივნეულად მოხვდება მათ თავში“.** სამიტის ფარგლებში ერთი-ერთზე შეხვედრისას ვ. პუტინმა სააკაშვილს უთხრა: **„არ ვაპირებთ, ამერიკელებს მივბაძოთ და სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ვაღიაროთ მხოლოდ იმიტომ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებულია“.**

თუმცა, სააკაშვილმა მას არ დაუჯერა. მას ვ. პუტინივით კარგად ესმოდა კოსოვოს პრეცედენტი და იცოდა, რომ მისი ქვეყნის სეპარატისტული პროვინციები ამ პრეცედენტს მიბაძავდნენ, თუ მოქმედებას დაუყოვნებლივ არ დაიწყებდა. 2004 წელს სამხრეთ ოსეთის მიმართ გატარებული ზომები ჩაიშალა. მას შემდეგ მან ამერიკული დახმარების წყალობით საკუთარი ჯარი უფრო ბრძოლისუნარიანი გახადა, მაგრამ, თუ იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთებას აპირებდა, ამერიკელთა მხარდაჭერა მხოლოდ ლოჯისტიკის დონეზე როდი სჭირდებოდა.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან 9 დღის განმავლობაში სააკაშვილი ასაბუთებდა, თუ რატომ არის საქართველო ახლა ასე დაინტერესებული ნატოში გაწევრიანებით: **„რად გვინდა ნატოს წევრობა? ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო უნდა იყოს სტრატეგიულად დაცული უკიდურესად რთულ და სახიფათო რეგიონში და მიიღოს უსაფრთხოების გარანტიების საკუთარი წილი“.** ახლოვდებოდა ნატოს აპრილის ბუქარესტის სამიტი. მასზე უნდა გადაწყვეტილიყო, მიეცათ თუ არა საქართველოსთვის და უკრაინისთვის MAP-ი, ანუ გადადგამდნენ თუ არა პირველ რეალურ ნაბიჯებს ნატოში გაწევრებისაკენ. მხარდაჭერის მისაღებად სააკაშვილი მარტში ვაშინგტონში გაემგზავრა, რათა კონგრესისა და თეთრი სახლის კულუარებში საკუთარი დემოკრატიული რეკომენდაციები წარედგინა.

იგი კამერების წინაშე ემლიქვნელებოდა პრეზიდენტ ბუშს: **„ჩვენ უნდა გავიაროთ ბოლომდე გზა თავისუფლებისკენ ჩვენი ხალხის, ჩვენი ფასეულობების, ყოველივე იმისთვის, რასაც ნიშნავს ჩვენთვის ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან აშშ მთელ მსოფლიოში ავრცელებს იდეალების ერთგულებას“.**

ბუშმა კმაყოფილი ღიმილი ვერ შეიკავა — მსოფლიოში არავინ უჭერდა მას მხარს, როგორც ეს კაცი. პრეზიდენტის მრჩეველი ევროპის საკითხებში **დეიმონ უილსონი** იხსენებდა: **„ის შესანიშნავი იყო. ზუსტად მოარტყა. იგი პრეზიდენტს შეტყობინებით ეახლა, რომ მისი მემკვიდრეობა დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაა. ეს სიტყვები ჩვენს ყურებს მუსიკად ეფინებოდა. ეს სწორი სიტყვები იყო“.**

და სააკაშვილმა სწორედ ის პასუხი მიიღო, რომლის იმედიც ჰქონდა: **„დარწმუნებული ვარ, საქართველო მოიგებს ნატოს წევრობით. მე ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ამ აზრით მივდივარ ბუქარესტში“,** — განუცხადა ბუშმა ჟურნალისტებს.

თუმცა, ორგანიზაციის ყველა წევრი როდი იზიარებდა მის აზრს, განსაკუთრებით, ფრანგები და გერმანელები. როცა სააკაშვილი ვაშინგტონში ჩაფრინდა, ოვალურ კაბინეტამდე ჯერ მისული არ იყო, რომ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დაურეკა. სააკაშვილმა თავად თქვა, რომ პირველი, რაც უთხრა პრეზიდენტ ბუშს, ეს სიტყვები იყო: **„ეს წუთია, დამირეკა ჩვენმა საერთო მეგობარმა ანგელა მერკელმა და მითხრა: — ვიცი, რომ ბუშს ხვდებით, რათა ნატოს მოახლოებულ სამიტზე ესაუბროთ და მინდა, გერმანიის პოზიცია იცოდეთ. თქვენ არ ხართ მზად ორგანიზაციაში შესასვლელად. ჩვენ მხარს არ დაგიჭერთ“.**

როგორც მოწმეები ამბობენ, ბუშმა გაიღიმა და სააკაშვილს აუხსნა, რომ ნატოში სხვადასხვა კატეგორიის მოთამაშეები არიან. **„მიხედეთ ლუქსემბურგს, ანგელა კი მე მომანდეთ. მე მივხედავ“.**

თუმცა, ამის თქმა უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე შესრულება. ფრანგებსაც და გერმანელებსაც ორი მიზეზი ჰქონდათ, რათა ეჭვის თვალით შეეხედათ ნატოში საქართველოს წევრად მიღების მიზანშეწონილობისთვის. ჯერ ერთი, მათ მიაჩნდათ, რომ **სახიფათოა ალიანსში იმ ძვეყნის მიღება, რომლის ტერიტორიაზეც ორი გაყინული კონფლიქტია, მეორეც — მათ აშფოთებდათ თავად სააკაშვილი და ის ნიშნები, რომლებიც ცხადყოფდა, რომ იგი სულაც არ იყო ისეთი დემოკრატი, როგორადაც მას ჯორჯ ბუში მიიჩნევდა.** 2007 წლის ნოემბერში თბილისში პოლიციამ სასტიკად დაარბია მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. სააკაშვილმა დახურა ოპოზიციური ტელერადიო კომპანია „იმედი“, რომელიც დაწვრილებით გადმოსცემდა სისასტიკის გამოვლინებას და ქვეყანაში საგანგებო ვითარება გამოაცხადა. მან რუსეთს დასდო ბრალი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში. თეთრი სახლიც კი შოკირებული იყო და კონდოლიზა რაისმა თავისი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა თბილისში გაგზავნა, რათა სააკაშვილი დაემოძღვრა.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 213

◎ ვიზიტი

შეხვედრა ფიბას შტაბ-ბინაში

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მდებარე ფიბას შტაბ-ბინაში გაიმართა შეხვედრა ამ ორგანიზაციისა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის. ფიბას გენერალურ მდივანთან პატრიკ ბაუმანთან და ფიბას განვითარების მენეჯერთან ზორან რადოვიჩთან საქმიანი საუბარი ჰქონდათ ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანსა და გენერალურ მდივან მერაბ რატიშვილს. შეხვედრის დეტალებზე ჩვენი ფედერაციის მხრიდან მისი მონაწილეები გვესაუბრებიან:

— ეს იყო მორიგი საქმიანი შეხვედრა, რომელსაც ადგილი ყოველწლიურად აქვს. ფიბას ხელმძღვანელობას ჩავაბარეთ ტრადიციული ანგარიში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების, მათი ევროპის ჩემპიონატებზე გამოსვლის, ეროვნული ჩემპიონატის, ფიბასა და ფიბა-ევროპის პროგრამების საქართველოში განხორციელების შესახებ.

— საუბარი შეეხო რამდენიმე სამართლებლივ ასპექტს, რომელთა დამახინჯებას საქართველოში გარკვეული დაჯგუფებები ცდილობენ.

— პირველ რიგში, რაც ჩვენთვის იყო მოულოდნელი, ფიბამ წარმოგვიდგინა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ 2012 წლის 4 და 5 დეკემბერს საკალათბურთო კლუბებს — „შსს-აკადემიას“ და „არმიას“ — დაქირავებული ბელგიელი ადვოკატის საშუალებით მიუმართავთ ფიბა-სთვის, რათა ამ უკანასკნელს ეწარმოებინა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდების რედაქციასთან დაკავშირებით მონიტორინგი და აუდიტი. ფიბამ ძალიან მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ წესდებასთან მიმართებაში ყველაფერი წესრიგშია და ამ საკითხთან დაკავშირებით ფიბა აღარ შეეწუხებინათ, რადგან ეს არის მხოლოდ მისი და მისი წევრი ეროვნული ფედერაციის განსახილველი და შესათანხმებელი საკითხი. ფიბამ ასევე მოუწოდა დაინტერესებულ მხარეს, ეთანამშრომლა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, თუკი რამ კონკრეტული საკითხი ჰქონდა და ყოველივე მასთან განეხილა.

— ამ ნაბიჯიდან ცხადი ხდება, რომ დაინტერესებულ ჯგუფს თავიდანვე ჰქონდა არჩეული ტყუილის გზა, რითაც შეცდომაში შეიყვანდა სხვადასხვა საკალათბურთო სტრუქტურებს. გასული წლის დეკემბრიდან კლუბების მიმართ განხორციელებულმა მიზანმიმართულმა დეზინფორმაციამ, სამწუხაროდ, მათი უმეტესობა შეცდომაში შეიყვანა. ახლა, როცა ყველაფერი ნათელი გახდა, გვსურს, მივმართოთ კლუბებს, რომ მომავალში, სანამ გადადგამენ რაიმე ნაბიჯს, კარგად აწონ-დაწონონ მისი მიზანშეწონილობა და გამოიჩინონ კეთილგონიერება და პასუხისმგებლობა ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ.

— ფიბას ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე „ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს“, რომლით ცრუ აპელირებითაც მერკანტილური მიზნებით შექმნილი ორგანიზაციის — „კალათბურთელთა კავშირის“ თავმჯდომარე, ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მიხეილ ახვლედიანი დიდი ხნის მანძილზე ახდენდა ტყუილების ტირაჟირებას და ურცხვად აცხადებდა, რომ ეს სახელმძღვანელო არის კანონი და არა რეკომენდაციები.

— ფიბას გენერალურმა მდივანმა პატრიკ ბაუმანმა პირდაპირ მიგვითითა ამ სახელმძღვანელოს წანამძღვარზე, სადაც შავით თეთრზე წერია: „პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ ფიბას ახალი სახელმძღვანელო ეროვნული ფედერაციებისთვის. ამ დოკუმენტის მიზანია დახმარების გაწევა თქვენი ეროვნული ორგანიზაციისათვის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაში, კონკრეტული რჩევების შეთავაზებით სხვადასხვა მიმართულებით... ეს დოკუმენტი გთავაზობთ მეგობრულ რჩევებს, რომლებიც თქვენ დამხმარე ინსტრუქციების სახით შეგიძლიათ გამოიყენოთ ყოველდღიურ მუშაობაში. ამიტომ ისარგებლეთ ამ სახელმძღვანელოთი თქვენთან არსებულ გარემოზე მისადაგებით და ახალ დონეზე გადაიყვანეთ თქვენი ორგანიზაცია, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხალისით გააკეთეთ ეს!

— ამით ნათლად გამოაშკარავდა ახვლედიანის მორიგი ტყუილი, რომელიც ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი გზით ცდილობს ხელში ჩაიგდოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ვისთვის პირველი...

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე წრის სტარტზე პირველი ქულები მოიპოვეს სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადმა“ და ბრიუსელის „ანდერლეხტმა“, თანაც ამ უკანასკნელმა ტურნირში პირველი გოლი გაიტანა.

ბასკთა და ბელგიელთა, აგრეთვე ჩეხური „პლზენის“ მსგავსად, ჯერაც მოუგებლად თამაშობს ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი ტურინის „იუვენტუსი“, თუმცა, მათგან განსხვავებით, კვლავაც ინარჩუნებს პლეი-ოფში გასვლის შანსს.

კარლო ანჩელოტის ძველი და ამჟამინდელი კლუბების მატჩი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ კრიშტიანუ რონალდუმ სახელოვანი წინამორბედის რაულის შედეგიანობის რეკორდი გაიმეორა (ჯგუფურ ეტაპზე — 8 გოლი) და დარჩენილ ორ შეხვედრაში, აღბათ, გააუმჯობესებს კიდეც (პარიზელთა ლიდერ იბრაჰიმოვიჩზეც იგივე ითქმის — 7 ბურთი). და კიდევ: „რეალს“ „ბებერ ქალბატონთან“ იტალიაში უკვე 51 წელიწადია არ გაუმარჯვია და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა.

IV ტურის სრული შედეგები: „ა“ ჯგუფი. „რეალ სოსიედადი“ — „მანჩესტერი“ 0:0, „შახტარი“ — „ლევერკუზენი“ 0:0.

„მანჩესტერი“ — 8, „ლევერკუზენი“ — 7, „შახტარი“ — 5, „რეალ სოსიედადი“ — 1 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „იუვენტუსი“ — „რეალი“ 2:2, „კოპენჰაგენი“ — „გალათასარაი“ 1:0.

„რეალი“ — 10, „გალათასარაი“, „კოპენჰაგენი“ — 4-4, „იუვენტუსი“ — 3 ქულა.

„გ“ ჯგუფი. „პარი სენ-ჟერმენი“ — „ანდერლეხტი“ 1:1, „ოლიმპიაკოსი“ — „ბენფიკა“ 1:0.

„პარი სენ-ჟერმენი“ — 10, „ოლიმპიაკოსი“ — 7, „ბენფიკა“ — 4, „ანდერლეხტი“ — 1 ქულა.

„დ“ ჯგუფი. „პლზენი“ — „ბაიერნი“ 0:1, „სიტი“ — ცსკა 5:2.

„ბაიერნი“ — 12, „სიტი“ — 9, ცსკა — 3, „პლზენი“ — 0 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

რამდენიმე დღე დასვენება და მერე ისევ მუშაობა

საქართველოს 19-წლამდე მორაგბეთა ნაკრები თბილისში დაბრუნდა, მაგრამ მწვრთნელები და მორაგბეები უკვე მსოფლიო თასის „ალაფაზე“ და იქ საჩვენებელ შედეგზე ფიქრობენ.

დავით ვართანიანის შეგირდებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა, მაგრამ დროის სიმცირის გამო ყველა აღნიშნულ პრესკონფერენციას ვერ დაესწრო. სამაგიეროდ, სამინისტროს მხრიდან ითქვა, რომ ამ ბიჭების გარჯა საქართველოს რაგბის კავშირს დაუფასდება და ქართულ რაგბის სახელმწიფოსგან ყურადღება არ მოაკლდება:

„სასიამოვნო ამბისთვის შევიკრიბეთ და მინდა ყველას მივულოცო ეს დიდი წარმატება. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რაგბი ჩვენი თამაშია. შედეგები თვალსაჩინო და ხელშესახებია და სრკ იმსახურებს სახელმწიფო პროგრამით მხარდაჭერას. ეს ახალგაზრდები ღირსეულ ადგილს დაიჭერენ ეროვნულ გუნდში. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ ბიჭებს“ — თქვა სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **ირაკლი დოლაბერიძემ**.

გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ზურაბ ამონაშვილმა** დაამატა: „ეს წარმატება ოჯახებიდან მოდის და მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ბიჭის ოჯახს, რომლებმაც ხსენებულ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს. მადლობა მათ კლუბებსაც, რადგან ფიზმომზადებით ყველა გუნდს ორი თავით ვჯობდით. ამ ეტაპზე მიზანი გამარჯვება იყო, მაგრამ წინ უფრო დიდი მიზანი გვაქვს — მსოფლიო „ალაფაზე“ წარმატების მიღწევა.

ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა ვიდექით, მაგრამ ხარვეზები მაინც გვქონდა და მათ გამოსწორებაზე უნდა ვიმუშაოთ. ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ — მოთამაშეთა სელექცია, თამაშების ანალიზი. 2-3 დღე დავისვენებთ და მუშაობის პროცესი სელექციით განახლდება“.

საბა შუბითიძე (კაპიტანი): „მადლობა ყველას, ვინც გვერდში გვედგა. ბიჭები ერთიანები ვიყავით და შედეგიც სახეზეა. უფრო მეტიც, გია ნიჟარაძისგან, ირაკლი აბუსერიძისგან და მთელი საქართველოსგან მუდამ ვგრძნობდით მხარდაჭერას და ეს ძლიერ წაგვადგა“ .

ბეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი და ნადალი მოგებით იწყებენ

ნოვაკ ჯოკოვიჩმა ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირის სასტარტო მატჩში როჯერ ფედერერს 6:4, 6:7, 6:2 მოუგო და 32 წლის შვეიცარიელთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 15:16 გახადა. როჯერთან მომდევნო დაპირისპირებისას „ნოლეს“ პირადი შეხვედრების ბალანსის გაწონასწორების შანსი მიეცა.

ფედერერთან პაექრობისას ჯოკოვიჩმა 2 საათსა და 22 წუთში 9 ეისი შეასრულა და არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროსთან ერთად A ჯგუფს სათავეში ჩაუდგა.

კლასიფიკაციის ლიდერ რაფა ნადალს რაც შეეხება, B ჯგუფში მალიორკელმა ვალენსიელ დავიდ ფერერს იოლად, საათსა და 14 წუთში 6:3, 6:2 მოუგო და პარიზში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო. რაფამ 21-ედ დაამარცხა დავიდი, თავად კი ფერერთან 5 მატჩი აქვს წაგებული.

„ეს მოგება მეტ დამაჯერებლობას შემძენს. მიუხედავად იმისა, რომ დასვენების დრო პრაქტიკულად არ მაქვს, ვავრინკასთან დაპირისპირებას მზადყოფნაში შევხვდები“, — განაცხადა ნადალმა და დასძინა, ლონდონში ჩემი მიზანი უკვე რეიტინგში პირველი ადგილის შენარჩუნება კი არა, მთლიანად ტურნირის მოგებაა.

თუკი რაფა ნადალი მომდევნო შეხვედრაში სტანისლას ვავრინკას დაამარცხებს, სეზონს პირველი ჩოგნის რანგში დაასრულებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

პუიოლმა ცოლი გააკრიტიკა

კატალონიის „ბარსელონას“ კაპიტანი კარლეს პუიოლი ძალიან დაღალა თავისი ცოლის, ცნობილი მოდელის მალენა კოსტას მომთხოვნმა ბუნებამ და ხუშტურებმა და როგორც ერთ-ერთ ესპანურ ტელეშოუში ნახევრად ხუმრობით განაცხადა, უახლოეს მომავალში ოჯახის ბიუჯეტის გეგმიურად ხარჯვას აპირებს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რამდენად უსრულებს პუიოლი თავის ცოლს თხოვნებს, კარლესი თურმე ძალიან გაცხარდა და დაუფარავად თქვა, რომ მისი შემოსავლის დიდი ნაწილი სწორედ ცოლის სურვილებს ხმარდება და ბევრი მამაკაცი არ ეგულება, რომელიც მასავით ანებივრებდეს ცოლს.

მალენა კოსტა და კარლეს პუიოლი ორი წელია, რაც ოფიციალურად ჯვარდაწერილ ცოლ-ქმრად ითვლებიან. მანამდე ეს წყვილი ოთხი წელი ერთად ცხოვრობდა, მაგრამ დაქორწინება მალენას სურვილი იყო და პუიოლმა ეს სურვილიც აუსრულა. ამის შემდეგ კი დაიწყო, რაც დაიწყო...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დედაქალაქი

ნაგვის ბუნკერები... გოგლას ძეგლის ფონზე

გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, რომლებიც თბილისის ქუჩების დასუფთავების მხრივ შიგადაშიგ წარმოიშვება ხოლმე, დედაქალაქში ბოლო წლებში ეს პრობლემა რომ გადაწყვეტილია, ამის მოწმენი ყველანი ვართ.

ზოგიერთ უბანში დასუფთავებასთან დაკავშირებული შეფერხებები უმეტეს შემთხვევაში გარკეული ტექნიკური გარემოებებითაა ხოლმე გამოწვეული და, როგორც წესი, მალევე აღმოიფხვრება. მოთუთიებული ნაგვის ბუნკერებისთვის დედაქალაქის ქუჩების უმეტეს ნაწილში ფეხით მოსიარულეთა ტროტუარებზე საგანგებო ნიშები მოსახლეობისთვისაც მოსახერხებელია და საგზაო მოძრაობასაც არ უშლის ხელს.

ოღონდ ერთი კია: ნებისმიერ კარგად მოფიქრებულ საქმეს წესიერად შესრულება სჭირდება, თუ არა და მთელი სიკეთე წყალში გადაიყრება. ამ შემთხვევაში, ლაპარაკი სწორედ ნაგვის ბუნკერებისთვის მიჩენილი ადგილების ზოგჯერ აშკარა შეუფერებლობაა, როგორც ეს, კერძოდ, 9 აპრილის სახელობის (ყოფილი ალექსანდრეს) ბაღის ქვედა ნაწილის შესასვლელშია. წესით და რიგით, ბაღში შესულ კაცს პირველი ჩვენი სასიქადულო მწერლის გოგლა ლეონიძის ძეგლი უნდა ეგებებოდეს და არა ის ორი... ნაგვის ბუნკერი, რომელიც ამ ადგილისთვის არა თუ შეუფერებელი, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელიც კია. გასაკვირია, ნუთუ ამ სანაგვეებისთვის სხვა, უფრო შესაფერისი ადგილი ვერ მოძებნა მისმა დამპროექტებელმა? განა რა აუცილებლობაა, რომ ნაგვის ბუნკერებს „ფონად“ ჩვენი საამაყო მამულიშვილის ძეგლი ჰქონდეს? სხვა თუ არაფერი, ამ გორგოლაჭიანი ყუთებისთვის ადგილის მიჩენა ათონელის ქუჩაზე ბაღის მხარეს ძეგლისგან მოშორებით სავსებით შესაძლებელია. მით უმეტეს, რომ თავად ბაღის ტერიტორიაზე ლამის ყველა ძელსკამთან ცალკე ურნა დგას, ხოლო ახლო მომავალში იქ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია განთავსდება?

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ახლახან გამოვიდა

გვაგრძნობინებს ფშავის სიახლოვეს...

ფშავს, გენიალური ვაჟას მშობელ კუთხეს, აბა, პრობლემებს რა გამოულევს. ჰოდა, ამ პრობლემების გადაჭრისთვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას არ იშურებს ფშავის აღორძინება-განვითარების კავშირის გამგეობის პერიოდული ორგანო — „მოგესალმებით, ძედებო!“, რომლის მთავარი რედაქტორია ცნობილი ჟურნალისტი ხვთისავარ არჩემაშვილი.

აი, ამ გაზეთის სექტემბერ-ოქტომბრის ნომერიც გამოსულა, რომელშიც სწორედაც რომ ძირითადად ფშავის პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული.

ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთში დაბეჭდილი საქართველოს ა/ო კავშირის „ფშავის აღორძინება-განვითარების“ გამგეობის თავმჯდომარის როსტომ მაჩხოშვილის სტატია: „იმედი ფშავის მომავლისა“, რომელშიც ავტორი ბევრ საგულისხმო ფაქტს უმხელს მკითხველს და, ბოლოს, როგორც სათაურიდან ჩანს, დიდი იმედი აქვს ამ კუთხის მომავლისა.

აბა, ფშავის ყოველდღიურობაზე მოსაუბრე გაზეთი, ულექსოდ დატოვებდა მკითხველს? ჰოდა, გვაცნობს კიდეც მიტროპოლიტ თადეოზის — მირიან იორამაშვილის რჩეულ ლექსებს, დაბადების 70 წლისთავს ულოცავს შესანიშნავ პოეტს ჯარჯი ფხოველს და არც ფშავის ყოველდღიური ცხოვრების აღმნუსხველი ინფორმაციები ავიწყდება.

ისე, ამ კარგი გაზეთის პერიოდულობას თუ მოუხშირებთ, მხოლოდ და მხოლოდ, საქმეს წაადგება, ბატონებო!

აკა მაღლაკელიძე

სულთათანა

მამუკა მაისურაძის უნუგეშო მონატრება



შვილის მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა... 20 წელი გავატარე უშენოდ ტანჯვაში, ჩემო სიამაყევ, ჩემო პატარავ. რა ბედნიერი დედა ვიყავი 20 წლის წინათ, შვილო! 7 ნოემბერი უმძიმესი დღეა ჩემთვის, ამ დღით მოგისპეს სიცოცხლე, უგუნურთა მიერ მოგონილი ძმათამკვლელი, აუხსნელი ომის მსხვერპლი გახდი... 25 წელი იცხოვრე ამქვეყნად; როცა ყველაფერი გიხაროდა, სწორედ მაშინ გამოგასალმეს სიცოცხლეს. დღეს ხომ 45 წლის ვაჟკაცი მეყოლებოდი, ჩემო უსაყვარლესო, კეთილო, ჭკვიანო, ოცნებებსა და მარად სიჭაბუკეში ჩარჩენილო ჩემო სიამაყევ და ანგელოზად ქცეულო შვილო! ღირსეული, სუფთა ნაბიჯით შენ შეძელი შენი სახელის უკვდავყოფა. შენისთანა ახალგაზრდების სიცოცხლე ღმერთმა სიბერისთვის არ გაიმეტა, 25 წლისას დაგატოვებინა ეს სამზეო ბედისწერამ, სიკეთით და სიყვარულით გამორჩეულს, მარადიული სიჭაბუკე გარგუნა. დედის ლოცვა და ანთებული სანთლები გაგინათებს უფლის გზას. სიკვდილი ჩემთანაც მოვა და სიხარულით გამოვყვები იქ, სადაც შენ მელოდები, ჩემო მონატრებულო ბიჭო, შენს ძმასთან და მამასთან ერთად...

ღმერთო, სამოთხეში ამყოფე ჩემი მონატრებული ქმარ-შვილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ...

შენი სულისთვის მლოცველი დედა
თინათინ ბაბლიძე-მაისურაძე

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ გული მაინც გულობს

გვიანი სიყვარული

ასაკი სექსისთვის დაბრკოლება არაა

სიცოცხლის შემოდგომას ბევრი ამაღელვებელი შეხვედრა შეუძლია მოგვიტანოს... არ არის საჭირო, ჩავიკეტოთ ოთხ კედელში და შევეცადოთ, დავბერდეთ დროზე ადრე!

ჩვენი ექსპერტია — საოჯახო კონსულტანტი ნატალია გოლოვანოვა.

საერთო მწუხარება აახლოებს

ივან გენადის ძე და გალინა ვასილის ასული ოცდაათ წელზე მეტია იცნობენ ერთმანეთს. ერთად მუშაობდნენ პეტერბურგის ერთ-ერთ საპროექტო ინსტიტუტში. ივან გენადის ძე სათავეში ედგა ხარჯთაღრიცხვის განყოფილებას, გალინა ვასილის ასული კი მრავალი წლის განმავლობაში მთავარი ბუღალტრის მოადგილე იყო.

მეგობრები ისინი არასოდეს ყოფილან, იყვნენ უბრალოდ კეთილი ნაცნობები და კოლეგები. ხუთი წლის წინათ თითქმის ერთდროულად გავიდნენ პენსიაზე. ივან გენადის ძეს მაშინ 63 წელი შეუსრულდა, გალინა ვასილის ასულს კი — 61 წელი. მოხდა ისე, რომ სამი წლის წინათ თითქმის ერთდროულდად ორივე დაქვრივდა. „მეორე ნახევრების“ იმქვეყნად წასვლის მიზეზიც ერთნაირი იყო: საშინელი ავადმყოფობა — კიბო. ონკოლოგების ყოველგვარი მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა...

საერთო მწუხარება აახლოებს ადამიანებს. დაქვრივებული პენსიონერები ხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ გაეზიარებინათ მწუხარება თავს დატეხილი სიმარტოვის გამო...

დაუპატიჟებელი სტუმარი საძინებელში

იმ დღესაც მათ გადაწყვიტეს შეხვედროდნენ ერთმანეთს, რათა ენახათ ეკრანზე ახლად გამოსული ნიკიტა მიხალკოვის ახალი ფილმი. როდესაც ფილმი დამთავრდა, ქუჩაში ძლიერი წვიმა იყო, და გულმტკივანმა ქალმა მიიწვია კავალერი თავის სახლში.

საუბარი ფინჯან ჩაისთან გაჭიანურდა გვიან საღამომდე. ქუჩაში კი კვლავ წვიმდა. ქალბატონმა გალინამ სტუმარს სასტუმრო ოთახში ტახტზე ლოგინი გაუშალა, უსურვა მას ღამე მშვიდობისა და წავიდა საძინებელში.

ქალბატონ გალინას გაეღვიძა იმის გამო, რომ ვიღაც მისთვის საბნის გადაძრომას ცდილობდა. შეშინებულმა და გაოგნებულმა ქალმა დაინახა... ბატონი ივანი. ის შიშველი იყო. სრულიად შიშველი. ქვედა თეთრეულიც არ ეცვა. ქალმა ჯერ მონდომა დაეყვირა და გამოეგდო საძინებლიდან დაუპარტიჟებელი სტუმარი, მაგრამ რატომღაც გაშტერებული გაიყინა... ჭაღარა კავალერმა არ დაიწყო დროის დაკარგვა. მან გულში მაგრად ჩაიკრა დაბნეული ქალბატონი. მათი ტუჩები ერთმანეთს გადაეკონა... ეს ღამე იყო გრძელი და ვნებიანი. გალინა ვასილის ასულს მოეჩვენა, რომ იგი გაახალგაზრდავდა მინიმუმ ოცი წლით...

დაუწერელი განცხადება

„შენზე განცხადებას შევიტან პოლიციაში, ბებერო გარყვნილო! ისარგებლე ხომ სუსტი, დაუცველი მოხუცით...“ —მოჩვენებითი სერიოზულობით განუცხადა დილით გამოუძინებელმა, მაგრამ ბედნიერმა პეტერბურგელმა ქალბატონმა. „აუცილებლად შეიტანე! დღესვე!“ — კმაყოფილების ღიმილით დაუჭირა მხარი ამ იდეას გმირმა-საყვარელმა, რომელმაც თავისი თანამგზავრის სიტყვები ერთგვარ კომპლიმენტად აღიქვა. საუზმის შემდეგ მამაკაცი წავიდა თავის სახლში, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ისევ მივიდა თავის მეგობართან, ვარდების დიდი თაიგულიც არ დავიწყებია, აგრეთვე ტორტი და ერთი ბოთლი შამპანიურიც.

რას იტყვიან მეზობლები?

გავიდა თითქმის ერთი წელი, რაც ხანდაზმული ადამიანები სრულფასოვანი წყვილი გახდნენ. ერთი-მეორესთან გადასვლას ისინი ჯერჯერობით არ აპირებენ. ქორწილზეც არ ყოფილა საუბარი. მაგრამ დროს ერთმანეთთან დიდხანს ატარებდნენ. ურთიერთობის დასაწყისში ქალბატონ გალინას რცხვენოდა, როდესაც მისი მეგობარი მასთან ღამით რჩებოდა. მას ერიდებოდა მეზობლებისა, აგრეთვე საკუთარი ქალიშვილებისა, რომლებიც, მართალია ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ ხშირად მიდიან დედასთან.

მაგრამ ყველაფერი გაცილებით იოლი და მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ინტელიგენტური ქალბატონი წარმოიდგენდა. და გალინას ორივე ქალიშვილი და ივანის ორი ზრდასრული ვაჟიშვილი კეთილი განწყობილებითა და დელიკატურად მოეკიდნენ თავიანთი მშობლების გვიანდელ რომანს. მეზობლებიდანაც არავის გამოუთქვამს არანაირი გესლიანი რამ და არ გამოუმჟღავნებია უტაქტობა.

არაფერი ადამიანური უცხო არაა

ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს აინტერესებთ მხოლოდ წინდების დაკემსვა, კროსვორდების ამოხსნა, აგარაკზე კიტრის წნილის დამზადება და ექიმებთან სიარული, დიდად ცდებიან. ხანდაზმული ადამიანებისთვის არაფერი ადამიანური უცხო არაა. „ცხოვრების შემოდგომის“ დროს სავსებით შესაძლებელია სიყვარულიც, ეჭვიანობაც და, რა საკვირველია, სრულფასოვანი ინტიმური ურთიერთობანიც.

ძლიერი სქესის წარმომადგენლებს აქვთ უნარი შეინარჩუნონ პოტენცია სიბერემდე. სქესობრივი აქტების რაოდენობა ხანდაზმულ ასაკში ქვეითდება, თუმცა საყვარელ ადამიანთან სხეულის ერთობის ბედნიერება უცვლელი რჩება.

აუცილებელია მამაკაცის „აღგზნება“

„კლიმაქსის შემდეგ ქალებში სექსუალური სურვილი იზრდება. „ექსპერტები“, ვინც ამტკიცებს, რომ ხანდაზმულებს სექსი არ სჭირდებათო, შორს არიან რეალობისგან“,— გვარწმუნებს ალევტინა ანდრეის ასული.

ინტიმური ურთიერთობანი ხანდაზმულ ასაკში შესაძლებელია ახალ პარტნიორებთანაც, მრავალწლიანი ცოლქმრობის დროსაც, „მთავარია, რომ ქალი თავად იჩენდეს ინიციატივას, ცდილობდეს, შეანჯღრიოს მამაკაცი“, — გვიზიარებს თავის გამოცდილებას 66 წლის ზოია ფელიქსის ასული.

◎ მკითხველმა ლექსი შემოგვთავაზა...

ვერა ვერაზე ყიდის გაზეთებს...

უკან მოხედვას ვერც კი მოასწრებ,
წლები შრომისა ისე გარბიან,
ვწერ ამაგდარზე, ვინც თვის ცხოვრება
მიუძღვნა ქართულ პოლიგრაფიას.

მას ვერა ჰქვია, სამხარაძეა,
სიჭარმაგისკენ დრო მიაქანებს,
წლების მანძილზე იგი სტამბაში
დასტრიალებდა საბეჭდ მანქანებს...

დღეს კი სხვა დროა, სხვა ვითარება,
კაპიტალიზმი „ტანგოს“ გვაცეკვებს,
და რახანია, სტამბის კედლებთან
ვერა ვერაზე ყიდის გაზეთებს.

უშანგი ზანდარაშვილი

◎ გაითვალისწინეთ!

ცურვა ციფრებსა და ფაქტებში

8 მილიონი წლის წინათ თანამედროვე ადამიანების წინაპარი წყალხმელეთა წესით ცხოვრობდა, საკვებს თხელ წყალში მოიპოვებდა, მაშინ ისწავლა მან ცურვა.

ცურვის ყველაზე ძველ სტილად ბრასი ითვლება. სურათი ბრასით მცურავი ადამიანის გამოსახულებით თარიღდება ქვის ხანით.

წყალში ადამიანი 90 პროცენტით უფრო მსუბუქად გრძნობს თავს.

ცურვა – თხილამურებით სირბილის შემდეგ

სპორტის მეორე სახეობაა, რომელიც წვრთნის კუნთების ძირითად ჯგუფებს.

50-80 პროცენტით მეტ სითბოს გადასცემს ჩვენი სხეული წყალში, ვიდრე ჰაერზე, ამის წყალობით აქტიური ხდება ნივთიერებათა ცვლა. ასე რომ, ცურვა იდეალურია მათთვის, ვისაც გახდომა სურს.

წყალში განიტვირთება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი, სწორედ ამიტომ ტრავმების შემდეგ და ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემების დროს გვირჩევენ ჯანამრთელობა აღვიდგინოთ წყალში.

ყოველდღიური 30-წუთიანი ცურვა ზრდის ქალებისა და მამაკაცების ლიბიდოს.

30 წუთის განმავლობაში ბრასით ცურვის დროს იწვის 360-მდე კილოკალორია. ამ სტილის დროს ყველა კუნთის 70 პროცენტამდე მუშაობს.

კარგად რომ ვიცუროთ, საჭიროა ღრმად და სწორად ვისუნთქოთ. ცურვა ტვირთავს სასუნთქ მუსკულატურას, აძლიერებს ფილტვების ვენტილაციას,აფართოებს მკერდის უჯრედებს.

ახალშობილის მე-3 კვირას მას შეიძლება ვასწავლოთ ცურვა. მე-3 თვის შემდეგ თანდაყოლილი უნარი – იყვნენ წყლის ზედაპირზე – ახალშობილებს უქრებათ.

ცურვა ცივ წყალში ამაღლებს ჰემაგლობინის დონეს, ზრდის სასქესო ჰორმონების გამომუშავებას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას (მათ შორის ტვინისაც), ანელებს უჯრედების დაბერების პროცესებს.

ცურვის მოყვარულები იმცირებენ ჰიპერტონიის განვითარების რისკს.

2007 წელს მთელი ამაზონი (5268 კილომეტრი) 66 დღეში გადაცურა მარტინ სტრელმა, ვისი სახელიც შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. დღე-ღამეში ის მხოლოდ 5-5 საათს ისვენებდა.

იაპონიაში ცურვა აუცილებელი სასკოლო საგანია.

კუნთოვან და გამხდარ ადამიანებს ნაკლები ცურვადობა აქვთ. მათ უჭირთ წყალზე წოლა უძრავად, სამაგიეროდ, ისინი იოლად ავითარებენ სიჩქარეს. სრულ ადამიანს – კარგი ცურვადობა ახასიათებს, მაგრამ მას უჭირს შეინარჩუნოს უძრავი მდგომარეობა წყალზე.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაუშინგტონ ვაზეთებიდან

„მაკა ჩიჩუას პირველ ლედობას“ არ აპატიებენ!

– მაკას ისინი ლანძღავენ, ვინც მას არ იცნობენ, – ამბობს ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე, – ესაა ჩვენი სენი: მაკას პირველ ლედობას არ აპატიებენ. ამიტომ, მაკა ნერვებს ძალიან უნდა გაუფრთხილდეს და ლანძღვა გულთან ახლოს არ მიიტანოს. მშვენიერი გარეგნობა აქვს, თან ჭკვიანი და ნიჭიერია. ჰოდა, თავისი მდგომარეობა შეიფეროს, ამ გაავებულ ხალხს კი, ვერავინ მოერევა.

„ქართული სიტყვა“

სკანდალური ინფორმაციები სააკაშვილის პარიზულ ვოიაჟზე

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე „ალიას“ იმ კულუარულ დეტალებს უმხელს, რატომ იყო მიხეილ სააკაშვილი პარიზში, რატომ შეხვდა ყოფილ პრეზიდენტ სარკოზის და რატომ ამბობენ უარს ცნობილი ფრანგი ადვოკატები კეზერაშვილის დაცვაზე, რეალურად, რა იმალება კეზერაშვილის სკანდალური საქმის მიღმა?

– ის რამდენიმე დღე პარიზში დარბოდა, ქართველების დასანახად, თითქოს, წიგნებს ყიდულობდა, დარბოდა ბიბლიოთეკაში. არადა, საქმე სულ სხვაგვარადაა. აი, ზოგი რამ:

– დაზუსტებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი მოლაპარაკებას აწარმოებს ბატონ ჯოელ ლევისთან. ეს არის იმდენად ცნობილი ადვოკატი, რომ მასზე ფილმებს იღებენ. როგორც ინფორმაცია მაქვს, კეზერაშვილის საქმეს ლევი ხელს არ ჰკიდებს. ასევე სააკაშვილს მოლაპარაკებები ჰქონდა საფრანგეთში ცნობილ ადვოკატთან, ბატონ ერიკ დიუპან მორეტისთან. ეს არის მაღალი დონის ადვოკატი და უარი თქვა კეზერაშვილის დაცვაზე. როცა გავიკითხე, მიპასუხეს, რომ ის არ იღებს ტერორისტების საქმეს და ასევე იარაღით ვაჭრობის საქმეს.

„ალია“

მთავრობა მცირე მეწარმეებისთვის სპეციალურ სააგენტოს ხსნის

მთავრობა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ პროექტზე მუშაობს. სპეციალურად ამ მიზნით, ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობას დაემატება ახალი სააგენტო, რომელიც ხელისუფლებას მცირე მეწარმეობის განვითარების გეგმას წარუდგენს. პარლამენტის დარგობრივი, ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის ინფორმაციით, მთავრობა მცირე მეწარმეებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას არ აპირებს, მაგრამ აქტიურად მუშაობს დარგის ხელშესაწყობ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც ახალი სააგენტოს გახსნა იგეგმება.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინცხალი ანეკდოტები

კრიმინოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის უიღბლო, დანაშაულის ჩადენისას ჩავარდნილ დამნაშავეებს. იმ მეცნიერებას კი, რომელიც იღბლიან დამნაშავეებს შეისწავლის, პოლიტოლოგია ჰქვია.

* * *

– **ICI, შენ რაღაცით მეფის ასულ – ბაყაყს მაგონებ, – ეუბნება პეტკა ცოლს.**

– **რა, ისეთივე ლამაზი და იდუმალი ვარ?**

– **არა, ისეთივე საზიზღარი და ცივი ხარ და მუდამ უდროო დროს ყიყინებ...**

* * *

ადრე ვთამაშობდი ფეხბურთს, ჩოგბურთს, ჰოკეის, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა მაშინ, როცა ჩემმა ვაჟმა კომპიუტერი გამიტეხა...

* * *

– **ვგონებ, ცოლს ჩემთან გაყრა სურს.**

– **რატომ გგონია?**

– **გუშინ სახლში თავისი დაქალი მოიყვანა!**

– **მერე რა?**

– **რა და, ვერც წარმოიდგენ, რა ლამაზია ის დაქალი!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24